

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მედეა ხუციშვილი

ფეტუსის სიცოცხლის უფლება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე  
სამართალმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კახი ყურაშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის  
პროფესორი

გორი 2019

## ანოტაცია

სიცოცხლის უფლება, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, ასევე ზნეობრივი ნორმებით აღიარებული და გარანტირებულია ყველა ადამიანისათვის, თუმცა ამ უფლებით ყველას თანასწორად ვერ სარგებლობს ფეტუსი,<sup>1</sup> რომელიც ორსულობის მე-8 კვირიდან, სრულად ადამიანის იდენტური მახასიათებლების მქონე არსებაა, ადამიანია, რომლის სიცოცხლე ხშირად გაბატონებული საზოგადოებრივი აზრისა და გენდერული ნიშნით სელექციის მსხვერპლიც ხდება. კვლევა ეხება ფეტუსის სიცოცხლის უფლებისა და მისი, როგორც პიროვნებად/ადამიანად აღიარების საკითხებს. ნაშრომის მიზანია ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებისა და იმ გამოწვევების განხილვა და შეფასება, რომლებიც თავს იჩენენ ეროვნულ დონეზე ფეტუსთან მიმართებით. ნაშრომში წარმოდგენილია არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის ისეთი ეფექტური და გონივრული გზები, რომლებიც მიმართულია საკანონმდებლო სივრცისა და საზოგადოების მართლშენების გაუმჯობესებისაკენ.

---

<sup>1</sup> ორსულობის მე-8 კვირის შემდეგ განვითარებადი ემბრიონი. მერვე კვირიდან მოყოლებული დაბადებამდე ორსული ქალის საშვილოსნოში განვითარებად არსებას ნაყოფი/ფეტუსი ეწოდება. ამ პერიოდში ყველა ძირითადი ორგანო განვითარებულია, კიდურები ფორმულირებულია და სასქესო ორგანოები იწყებენ განვითარებას; მისი სიგრძე უკვე 2,5 სმ-ია; შემდეგი რამდენიმე კვირის განმავლობაში, პირველი ტრიმესტრის დასრულებამდე, ფეტალურ მონიტორზე უკვე შესაძლებელია მისი გულისცემის მოსმენა. ორსულობის პირველი რვა კვირის განმავლობაში ემბრიონი საოცრად იცვლება-უჯრედების გროვიდან ე.წ ჩანასახოვანი ფარიდან, ადამიანის პაწაწინა ფიგურა ვითარდება.

## Abstract

Right to life is recognised and guaranteed both at national and international levels, as well as by moral norms for all human beings, although foetus<sup>2</sup>, which is a creature having all characteristics identical to human from the 8th week of pregnancy, cannot exercise this right equally to others; it is a human being whose life becomes the victim of prevailing public opinion and gender-related selection. The research concerns the right to life of foetus and issues of its recognition as a person/human being. The purpose of the work is to review and evaluate the national and international legal mechanisms related to protection of foetus's rights to life, as well as challenges that may occur at national level regarding foetus. The paper suggests effective and reasonable ways to eliminate existing legislative shortcomings aiming at improvement of legislative space and public development.

---

<sup>2</sup> Embryo developing after 8 weeks of pregnancy. Embryo/foetus is a creature developing in the uterus of a pregnant woman following from the 8th week of pregnancy until its birth. Within this period, all the major body organs are developed, limbs are formulated and genital organs are beginning to develop; its length is 2.5cm; in the next few weeks, before the end of the first trimester, it is already possible to hear its heart rate on a foetal monitor. Within the first 8 weeks of pregnancy the embryo is remarkably changing and a tiny human body begins to develop from a pile of cells, i.e. the foetal shield.

## სარჩევი

შესავალი.....	5
<b>1. ფეტუსის სიცოცხლის უფლება.....</b>	<b>11</b>
1.1. სიცოცხლის უფლება და მისი მფლობელი სუბიექტები.....	11
1.2. ფეტუსის სიცოცხლის უფლებაში ჩარევის სამართლებრივი საფუძვლები.....	12
1.3. სიცოცხლის დასაწყისი და აბორტის აკრძალვის პრაქტიკული მახასიათებლები.....	19
<b>2. ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიები.....</b>	<b>27</b>
2.1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.....	27
2.2. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი.....	27
2.3. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია.....	28
2.4. ბავშვის უფლებათა და ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენცია.....	28
2.5. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროსასამართლოს პრაქტიკა .....	29
<b>3. ფეტუსის სიცოცხლის უფლება და საქართველოს კანონმდებლობა.....</b>	<b>34</b>
3.1. საქართველოს კონსტიტუცია.....	34
3.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.....	34
3.3. ჯანმრთელობის დაცვისა და პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონი.....	35
3.4. საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა.....	37
<b>4. გამოწვევები.....</b>	<b>38</b>

4.1. ფეტუსის სიცოცხლე, როგორც საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის მსხვერპლი.....	38
4.2. სელექციური აბორტი.....	45
4.3 . ქრისტიანული რელიგია და ფეტუსის სიცოცხლის უფლება.....	53
5. საკანონმდებლო ხარვეზები.....	65
დასკვნა.....	66
გამოყენებული ლიტერატურა.....	70

## შესავალი

ადამიანის ძირითადი უფლებები სამართლებრივი სისტემის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი და უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოსაგან ადამიანის დამცავი, მავალდებულებელი უფლებებია, როგორც პოზიტიური (ძირითადი უფლებების აქტიური დაცვა), ისე ნეგატიური (სახელმწიფოს მიერ რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება) თვალსაზრისით.<sup>3</sup> „ძირითადი უფლებების უმეტესი ნაწილი ე.წ თავისუფლების უფლებებს<sup>4</sup> წარმოადგენს,“<sup>5</sup> რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი სიცოცხლის უფლებას უკავია.

საქართველოს კონსტიტუციით სიცოცხლე დაცული და აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა, ასევე სიკვდილით დასჯა არის აკრძალული. დაუშვებელია ამ ამ უფლების რაიმე სახით შეზღუდვა. თუმცა არის შემთხვევები, როცა სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ამისთვის კი შეიძლება აუცილებელი იყოს სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ასეთ შემთხვევაში, როცა სიცოცხლის წინააღმდეგ ასევე სიცოცხლე დგას, სახელმწიფოს შეუძლია და უნდა გადაწყვიტოს კიდევ, რომელი სიცოცხლისთვის იბრძვის იგი თავისი ძალაუფლებრივი საშუალებებით. ასეთი შემთხვევების გარდა კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სიცოცხლის ძირითადი უფლება კანონმდებელს არ აძლევს კანონის საფუძველზე მასში ჩარევის არავითარ სხვა საშუალებას.<sup>6</sup>

ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი, ეხება სიცოცხლის უფლებას და მიზნად ისახავს დაიცვას ადამიანები სიცოცხლის ძალადობრივი ხელყოფისაგან და სიცოცხლისათვის საშიში საფრთხეებისაგან მასში მოცემული ორი ძირითადი ელემენტის მეშვეობით: პირველ პუნქტში სიცოცხლის უფლების „საკანონმდებლო გზით“ დაცვის ზოგადი

<sup>3</sup> კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, რედ. თ. ბერიძე, თბილისი, 2014, 34-40.

<sup>4</sup> უზრუნველყოფენ ადამიანისათვის საქმიანობისა და მოქმედების თავისუფალ სფეროს, რომელშიც სახელმწიფო ან საერთოდ ვერ ერევა, ან ერევა სპეციალური დასაბუთებით-მხოლოდ კანონის საფუძველზე ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და შესაბამისი წესით.

<sup>5</sup> კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, რედ. თ. ბერიძე, თბილისი, 2014, 42.

<sup>6</sup> იქვე. 126.

ვალდებულების დადგენით და მე-2 პუნქტში იმ ამომწურავი გარემოებების ჩამოთვლით,<sup>7</sup> რომლის დროსაც სახელმწიფო მოხელეების მიერ სიცოცხლის ხელყოფა მართლზომიერია.<sup>8</sup>

“სიცოცხლის უფლების სხვა უფლებებზე უფრო აღმატებული მნიშვნელობის მიუხედავად, იგი ყველაზე წინააღმდეგობრივია, მისთვის დამახასიათებელი პრობლემების გამო, რაც ძირითადად მის დასაწყისსა და დასასრულს უკავშირდება. სწორედ ამიტომ იგი არასრულყოფილადაა დაცული ფეტუსის შემთხვევაში.”<sup>9</sup>

ფეტუსის პიროვნებად/ადამიანად აღიარების საკითხი არ რის მოწესრიგებული არც საერთაშორისო და არც ეროვნულ დონეზე. საქართველოს კონსტიტუცია არანაირ დათქმას არ აკეთებს ფეტუსთან დაკავშირებით სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფისას. მისი წარმოშობა დაკავშირებულია დაბადების მომენტთან, რის გამოც ფაქტობრივად არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებითაც დაცული და გარანტირებული იქნება ფეტუსის სიცოცხლე და მისი ხელმყოფის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში, აბორტს უშვებს სოციალური საფუძვლით,<sup>10</sup> რითაც ნაყოფის სიცოცხლის უფლებას მატერიალურ კეთილდღეობაზე დამოკიდებულს ხდის. ის აგრეთვე ხშირად ხდება საზოგადოებრივი აზრისა და გაბატონებული მენტალურ-კულტურული მიდგომების მხსვერპლი.

განსახილველი პრობლემა საკმაოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზეც, რადგან არ არის დაზუსტებული სიცოცხლის უფლებისა და მისი შეზღუდვის

<sup>7</sup> სიცოცხლის ხელყოფა არ განიხილება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვება ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა: ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან; ბ) კანონიერი დაკავებისათვის, ანდა კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად; გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

<sup>8</sup> ჯ. მერდოქსი, დ.ი. სტრაისტეანუ, დ. ვედერნიკოვა, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-2 მუხლი), რედაქტორები: ჯ. მერდოქსი, დ.ი. სტრაისტეანუ, დ. ვედერნიკოვა, ბ. ფერნანდესი, ტ. კარპენტერი, თბილისი, 2009, 10-11.

<sup>9</sup> შ. გეწაძე, ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2015, 64.

<sup>10</sup> “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 140-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

შინაარსობრივი ფარგლები რა დროსაც თავს იჩენს ღირებულებათა კონფლიქტი. პრობლემის სირთულეს განაპირობებს ისიც, რომ ფეტუსის სამართლებრივი სტატუსის საკითხი დაკავშირებულია აბორტის თემასთან. ნაყოფის სიცოცხლის უფლების აბსოლუტური აღიარება აბორტის სრულ აკრძალვას გულისხმობს, რის გამოც ერთმანეთს უპირისპირდება ერთ მხარეს ფეტუსის სიცოცხლის უფლება, ხოლო მეორე მხარეს დედის ჯანმრთელობა და სიცოცხლის უფლება.<sup>11</sup>

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო თავს იკავებს აბორტის კონტექსტში სიცოცხლესთან დაკავშირებით რაიმე დეფინიციის გაკეთებისაგან, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს საკითხი წარმოადგენს სახელმწიფოთა შეფასების საგანს და მას ანიჭებს უფლებას თავად განსაზღვროს მომენტი როდის იწყება ადამიანის სიცოცხლე და შესაბამისად უზრუნველყოს ამ მომენტიდან მისი დაცვა. თვით სახელმწიფოებს აქვთ მინდობილი ამ საკითხის დეტალური რეგლამენტაცია შიდა კანონმდებლობის დონეზე.<sup>12</sup> იგი არ აღიარებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-2 მუხლი იცავს ფეტუსის სიცოცხლეს, მაგრამ არც კატეგორიულად გამორიცხავს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას ფეტუსისათვის. ყოველ კონკრეტულ საქმეს, რომელიც აღნიშნულ საკითხს უკავშირდება წყვეტს იმგვარად, რომ გვერდი აუაროს მასზე ცალსახა პასუხის გაცემას. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიაც თავს იკავებს აბორტის კონტექსტში სიცოცხლესთან დაკავშირებით რაიმე დეფინიციის გაკეთებისგან.<sup>13</sup> „მხოლოდ რამდენიმე აქტი არსებობს, სადაც სიცოცხლის უფლების დასაწყისად პირდაპირ არის აღიარებული ბავშვის ჩასახვის მომენტი.“<sup>14</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო დონეზე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი და ცალსახა პოზიცია ფეტუსის დასაცავად და იგი ხშირად ხდება ქვეყანაში არსებული ეროვნულ-

<sup>11</sup> ე. გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, რედაქტორები: პ. ტურავა, ც. ჯიშკარიანი-თევდორაძე, ვ. ჟვანია, თბილისი, 2013, 74.

<sup>12</sup> ე. გოცირიძე, სიცოცხლის დასასრული და დასაწყისი: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (სტატიათა კრებული), რედ. კ.კორკელია, თბილისი, 2007.68.

<sup>13</sup> იქვე, 65.

<sup>14</sup> ვ. გონაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ჩანასახის სიცოცხლის უფლება მსოფლიო ქვეყნებსა და საქართველოში, „თსუ მეცნიერება“, <https://www.tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=4&tid=14>, [30.05.19].

კულტურული შეხედულებებისა, თუ საზოგადოებრივი აზრის მსხვერპლი, მნიშვნელოვანია ფეტუსის სიცოცხლის უფლების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე. იზადება კითხვა არის, თუ არა ფეტუსი ადამიანი და თუ ვამბობთ რომ არის რამდენად სამართლიანია აღნიშნული საკითხებისადმი ზერელე და გულგრილი დამოკიდებულების გამო ფეტუსის, როგორც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და საფრთხეში ჩაყენება, ასევე ყოველწლიურად ათასეულობით მუცლადმყოფი გოგონას გაუჩინარება, გენდერული სელექციის გამო.

ნაშრომის მიზანია ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით ისეთი საკითხების შესწავლა, რომლებიც ბუნდოვანია და მისი ორაზროვნად გაგების საფუძველს ქმნის; ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის საერთაშორისო და ადგილობრივი მექანიზმებისა და გარანტიების მიმოხილვა, მათში არსებული ხარვეზების წარმოჩენა და მათი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად შედარებით დახვეწილი და ჰარმონიზებული საკანონმდებლო სივრცის წარმოჩენა; ფეტუსის სიცოცხლის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის სამართლებრივი საფუძველების შესწავლა სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი ნორმებისა და პრაქტიკის მაგალითზე; აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ისეთი აქტუალური საკითხების განხილვა, შეფასება და გაანალიზება, როგორცაა სელექციური აბორტი, ქრისტიანული რელიგიის დამოკიდებულება ფეტუსის სიცოცხლესთან დაკავშირებით, ასევე საზოგადოებრივი აზრის გავლენა ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენაზე; პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების ძიება, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა ფეტუსის სიცოცხლის უფლებასა და დედის ინტერესების კოლიზიის შემთხვევაში; პრობლემის განსხვავებული რეგულირების დადებითი და ურყოფითი მხარეების წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის დოგმატურ-სამართლებრივი, შედარებით-სამართლებრივი და სოციალურ-სამართლებრივი მეთოდები.

სამაგისტრო ნაშრომი სტრუქტურულად შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან.

**შესავალში** საუბარია განსახილველი საკითხის აქტუალობაზე, ნაშრომის მიზანზე, გამოყენებული კვლევის მეთოდებსა და ნაშრომის სტრუქტურის აღწერაზე.

**პირველ თავში** ყურადღება გამახვილებულია სიცოცხლის უფლების ზოგად შინაარსსა და მნიშვნელობაზე, მის მფლობელ სუბიექტებსა და ამ უფლების დასაწყისთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე; ფეტუსის სიცოცხლის უფლებით დაცული სფეროსა და ამ სფეროში ჩარევის სამართლებრივ საფუძვლებზე; განხილულია ფეტუსის განვითარების ეტაპები; აბორტთან დაკავშირებული პრობლემატიკა; წარმოდგენილია ევროსასამართლოსა და ევროპის ქვეყნების დამოკიდებულება ფეტუსის, როგორც სიცოცხლის მფლობელი სუბიექტისა და დედის ინტერესებს შორის კოლიზიის შემთხვევაში.

**მეორე თავი** ეხება ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმებს როგორცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია და კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროსასამართლოს პრაქტიკა ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით.

**მესამე თავი** ეთმობა ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის გარანტიებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მეოთხე თავში** თავმოყრილია ის გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება საქართველოში არსებულ დოგმებსა და კულტურულ-მენტალურ დამოკიდებულებას ოჯახში ბიჭის ყოლის პრეროგატივასა და სელექციური აბორტების პრაქტიკას; საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობასა და გავლენას ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებით; ასევე განხილული და შეფასებულია ქრისტიანული რელიგიის დამოკიდებულება ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით.

მეხუთე თავში წარმოდგენილია და შეფასებულია ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც გვხვდება საქართველოს კანონმდებლობაში, ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვასთან დაკავშირებით;

დასკვნაში საუბარია ნაშრომში წამოჭრილ უმთავრეს პრობლემებზე, კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებზე.

# 1. ფეტუსის სიცოცხლის უფლება

## 1.1. სიცოცხლის უფლება და მისი მფლობელი სუბიექტები

სიცოცხლის უფლება მიეკუთვნება დემოკრატიული საზოგადოების იმ ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას, რომლის გარეშეც ყველა სხვა უფლების დაცვა იქნებოდა ილუზორული.<sup>15</sup> იგი იცავს ადამიანის არსებობის იმ ბიოლოგიურ და ბუნებრივ საფუძველს, რაც აუცილებელია ძირითადი უფლებების კატალოგში ჩამოთვლილი ადამიანის სულიერი, იდეური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის.<sup>16</sup> ის არის დამცავი უფლება და უკრძალავს სახელმწიფოს ადამიანის მოკვლას, აგრეთვე ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც ამკარად ადამიანის სიკვდილი მოჰყვება.<sup>17</sup> „სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს არამარტო უკრძალავს ადამიანის მოკვლას, არამედ იმავდროულად ავალდებულებს მას უზრუნველყოს სიცოცხლის ეფექტიანი დაცვა.“<sup>18</sup>

„სიცოცხლის უფლების სუბიექტია ყოველი ადამიანი. ამასთან ქალის ორგანიზმში სპერმატოზოიდით კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად წარმოშობილ ნაყოფს (ემბრიონს) აქვს არა მხოლოდ ღირსება, არამედ იმავდროულად აქვს სიცოცხლის უფლება, რადგან სწორედ ამ მომენტიდან იწყება თანამიმდევრული ბიოლოგიური განვითარების პროცესი, რომლის განმავლობაშიც უკვე საკუთარი, კონკრეტული ინდივიდუალობის მქონე სიცოცხლე თანდათანობით ადამიანის სახეს იძენს. სწორედ განაყოფიერების შედეგად წარმოშობილი ემბრიონის მიმართ იწყება სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას ადამიანის სიცოცხლე.“<sup>19</sup>

როდესაც სიცოცხლეზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ აღინიშნოს ამ სიტყვის დეფინიციასთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და დისკუსიების სიმრავლის შესახებ. ეჭვს არ ბადებს სიცოცხლის უფლების არსებობის აუცილებლობა, თუმცა სამეცნიერო

<sup>15</sup> თ. ტულუმი, გ. ბურჯანაძე, გ. მშვენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 62.

<sup>16</sup> ლ. იზორია, ვ. კორკელია, ვ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2005, 45.

<sup>17</sup> იქვე, 46.

<sup>18</sup> იქვე, 47.

<sup>19</sup> იქვე, 46.

ლიტერატურასა და იურიდიულ პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად იბადება კითხვა: როდის იწყება სიცოცხლის უფლება და არის, თუ არა ამ უფლების სუბიექტი ფეტუსი? აღნიშნული საკითხი საკმაოდ პრობლემური თემაა და ამ კითხვებზე პასუხი დღესაც, მიუხედავად მრავალი სამეცნიერო და იურიდიული პრაქტიკისა, ამომწურავი არ არის.<sup>20</sup>

დღეისათვის გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებით გადამწყვეტია ემბრიონის, ახალი სიცოცხლის წარმოშობის მომენტი. ახლად წარმოშობილი ემბრიონი უკვე ყველასაგან განსხვავებული, თავისებური და შემდეგ დაბადებული ადამიანის იდენტური ინდივიდია, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ იგი სიცოცხლის უფლების მფლობელ სუბიექტად ვაღიაროთ.<sup>21</sup>

„ვინაიდან ადამიანის უმთავრესი ღირებულება-სიცოცხლე სწორედ ემბრიონიდან, ფეტუსიდან იწყება უდავოა, რომ ფეტუსი სიცოცხლის საწყისია, ცოცხალი არსებაა, რომელიც ადამიანურ მოდგმას განეკუთვნება. ჩასახვის მომენტიდან ფეტუსს სული გააჩნია და მას სიცოცხლეზე ისეთივე უფლება აქვს, როგორც დაბადებულ ადამიანს.“<sup>22</sup> ფეტუსის აღიარებაზე უარის თქმა, ადამიანის საწყისის უარყოფაა. რადგანაც სახელმწიფომ სიცოცხლის უფლება უზენაეს ღირებულებად აღიარა, უნდა უზრუნველყოს მისი ყველა ფორმის, მათ შორის საწყისის (ფეტუსის) სრულყოფილად დაიცვა.<sup>23</sup>

## 1.2. ფეტუსის სიცოცხლის უფლებაში ჩარევის სამართლებრივი საფუძვლები

ფეტუსის სიცოცხლის უფლება მჭიდროდაა გადაჯაჭვული აბორტის<sup>24</sup> თემასთან. ფეტუსის სიცოცხლის აბსოლუტური უფლების აღიარება აბორტის სრულ აკრძალვას გულისხმობს და ხშირად უპირისპირდება დედის უფლებებს, მათ შორის, ზოგჯერ მის

<sup>20</sup> თ. სადრამე, ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებები, ჟურნალი „სპექტრი“, 2017, 79.

<sup>21</sup> ლ. იზორია, ვ. კორკელია, ვ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2005.46.

<sup>22</sup> თ. სადრამე, უკანონო აბორტის საკანონმდებლო პოზიციები, გურამ ნაჭყებია-75, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, 174.

<sup>23</sup> იქვე, 176.

<sup>24</sup> სამედიცინო ჩარევა, რომელიც ტარდება ორსულობის შეწყვეტის მიზნით.

სიცოცხლის უფლებასაც, როდესაც ორსულობა სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული. აბორტის აკრძალვა იმის აღიარება იქნებოდა, რომ ფეტუსის დაუბადებელი სიცოცხლე უფრო მაღალი ღირებულებაა, ვიდრე ორსული ქალის სიცოცხლე, ამიტომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება მხოლოდ ნაწილობრივია დაცული.<sup>25</sup> ფეტუსის სიცოცხლის უფლების აღიარება გავლენას ახდებს ორსული ქალის უფლებებზე. ამგვარი აღიარება ნიშნავს ჩარევას ქალის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ავტონომიაში. შესაბამისად ორივე მხარის (დედისა და ჩანასახის) უფლებათა გარკვეულობისა და დაცვისათვის საჭიროა დედისა და ფეტუსის უფლებათა სამართლიანი განსაზღვრა და ურთიერთშეპირისპირება, რათა არ მოხდეს ერთის უფლების გაუმართლებელი დარღვევა მეორის უფლების ასევე გაუმართლებელი დაცვის ხარჯზე.<sup>26</sup> სიცოცხლის დამცავი უფლების ხასიათიდან გამომდინარე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყველა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ეფექტიანი დაცვა მნიშვნელოვანია, რომ აბორტზე ხელმისაწვდომობა, ისევე როგორც მასზე გარკვეული სამართლებრივი შეზღუდვების დაწესება საკანონმდებლო დონეზე, ჰარმონიზებულ იქნას იმგვარად, რომ თანაბრად უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების რეალიზაცია, როგორც ფეტუსისათვის, ისე ორსული ქალისათვის ყოველგვარი შესაძლო დისკრიმინაციული ასპექტების აღმოფხვრის გზით. ფეტუსის სიცოცხლე არ უნდა იქცეს დედის სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელ გარემოებად და პირიქით, მაგრამ თუ სამედიცინო ჩვენებების გამო ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი და დედის სიცოცხლეს ექმნება საფრთხე სახელმწიფო ვერ გააკეთებს ცალსახა, მკაცრ არჩევანს ორი თანაბარი ღირებულების მქონე სიკეთეებს შორის, დედის ან ფეტუსის სასარგებლოდ. ასეთ დროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული პირებისათვის არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფა ყველაზე უფრო გონივრული გზაა საკითხის მოსაწესრიგებლად და გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში მოსაქცევად.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აბორტთან დაკავშირებული პრობლემა ხშირად ქცეულა მწვავე საჯარო დისკუსიისა და პოლემიკის საგანად, რადგან იგი მოიცავს როგორც

<sup>25</sup> ე. გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, რედაქტორები: პ. ტურავა, ც. ჯიშკარიანი-თევდორაძე, ვ. ჟვანია, თბილისი, 2013, 74.

<sup>26</sup> შ. გეწაძე, ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2015, 65.

მორალურ, პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ, ისე კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხებს. საკითხი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც აქ ნაყოფის ძირითადი სიცოცხლის უფლება უპირისპირდება ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ასევე ძირითად უფლებას.<sup>27</sup> აბორტი მორალურად გაუმართლებელია,<sup>28</sup> თუმცა მორალი შეფასებითი ცნებაა და სახელმწიფო ვერ იქნება მისი განმსაზღვრელი იმდენად, რომ მხოლოდ ამორალურობა აქციოს აბორტის აკრძალვის იურიდიულ მექანიზმად საკანონმდებლო დონეზე, ასევე ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ორიენტირებულ თანამედროვე საზოგადოებაში კარიერისტული აზროვნება და მატერიალური ფასეულობები არ უნდა იქცეს სიცოცხლის ხელმყოფელ კანონიერ გარემოებად.<sup>29</sup> სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა თითოეული მოქალაქის ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური პირობების შექმნაზე. ხშირად აბორტის მომხრეების, რომლებიც აბორტის შესახებ კანონის ლიბერალიზაციისათვის იბრძვიან, არგუმენტს წარმოადგენს ქალები, რომლებიც „სისხლისგან იცლებიან“, რომლებმაც აბორტი გაიკეთეს არასპეციალისტთან და შეუსაბამო პირობებში. რა თქმა უნდა ეჭვგარეშეა, რომ არსებობენ ქალები, რომლებიც ნებისმიერ ფასად მოიცილებენ მუცლად მყოფ ნაყოფს და ამისთვის საკუთარ სიცოცხლესაც გასწირავენ. ეს საკმაოდ სერიოზული და ამავე დროს სამართლებრივი პრობლემაა, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.<sup>30</sup> ქრისტიანული თვალსაზრისით აბორტს ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე არ აქვს გამართლება არანაირი საფუძვლით. იგი ღმერთის ნების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღიქმება, ცოდვად, რომელიც ადამიანს ღმერთს განაშორებს,<sup>31</sup> თუმცა სახელმწიფოს მხრიდან აბორტის სრული აკრძალვის საკანონმდებლო რეგულირება, ორსული ქალების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ამკარად საფრთხის ქვეშ დაყენება და უპასუხისმგებლო ნაბიჯი იქნება არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოებებისა და საზოგადოებრივი შეხედულებების

<sup>27</sup> ლ. იზორია, ვ. კორკელია, ვ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2005, 51.

<sup>28</sup> აშშ-ს მე-40 პრეზიდენტი რონალდ რეიგანი აღნიშნავს, რომ აბორტის მხარდამჭერები ეს ის ხალხია, რომლებმაც უკვე მოასწრეს დაბადება.

<sup>29</sup> ვ. შტოსელი, მარიამ...რატომ ტირი?, თარგ. ე. ჯულუხაძე, რედ. ნ. ტურაბელიძე, ქუთაისი, 134.

<sup>30</sup> იქვე. 45-46.

<sup>31</sup> იქვე. 122.

გათვალისწინებით. როდესაც ფეტუსის სიცოცხლის საპირწონედ მეორე მხარეს დედის სიცოცხლე დგას სახელმწიფომ ორივე შემთხვევაში თანაბრად უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული სიცოცხლის უფლების რაციონალური და ეფექტური დაცვა.

„აბორტს და მუცლის მოშლის გამომწვევ საშუალებებს კრძალავდნენ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში<sup>32</sup>, რომის იმპერიაში; მით უმეტეს, ქრისტეს ეკლესია მას განიხილავდა და განიხილავს, როგორც უმძიმეს მომაკვდინებელ ცოდვას. ხოლო მსოფლიოში პირველად ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში, 1920 წელს ათეისტურმა ხელისუფლებამ აბორტი ნებადართულად გამოაცხადა. 1936 წლიდან 1955 წლამდე იგი ისევ აიკრძალა, მაგრამ დღეს როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე ევროპასა და მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში, კვლავ ნებადართულია.“<sup>33</sup>

ჩანასახის სიცოცხლის უფლება ნაკლებ პრიორიტეტული ხდება დედის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებასთან შედარებით, როდესაც სახეზეა, მაგალითად, სამედიცინო ჩვენება. ასევე, აბორტის სამართლებრივ საფუძველად სახელმწიფომ შეიძლება დაადგინოს სოციალური, ეთიკური და ევგენიკური ჩვენებებიც.<sup>34</sup>

სამედიცინო ჩვენება ნიშნავს მდგომარეობას, როცა აუცილებელია ფეტუსის სიცოცხლის შეწყვეტა ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.<sup>35</sup> „მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში სწორედ აღნიშნული საფუძველი გვხვდება. თავის მხრივ, ჯანმრთელობის საფრთხეში იგულისხმება შესაძლო ზიანის მიყენება დედის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობისათვის, მაგალითად, ავსტრია, ბელგია, ფინეთი, გერმანია და სხვ. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის საფრთხის არსებობა, როგორც სამედიცინო ჩვენება, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნების დიდი ნაწილი (46 ქვეყანა) ჩვენებების მხოლოდ ამ ფორმას ითვალისწინებს და არ არის ნებადართული დედის ინიციატივით

<sup>32</sup> ჰიპოკრატეს ფიცი: „არ მივცე არც ერთ ქალს მუცლის მოსაშლელი პესარიუმი“.

<sup>33</sup> მ. ნოზაძე, საფრანგეთში აბორტისთვის ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ, for. ge, 08.05.13, <https://for.ge/view/22445/safrangeTSi-abortionisTvis-adamianebs-sikvdiliT-sjidnen.html>, [30.05.19].

<sup>34</sup> შ. გეწაძე, ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2015, 70.

<sup>35</sup> კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, რედ. თ. ბერიძე, თბილისი, 2014, 128.

ან სხვა საფუძვლებით აბორტის გაკეთება. ასეთი ქვეყნები ძირითადად ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებზე გვხვდება. ქვეყნების ნაწილში (15 ქვეყანა) აბორტის გაკეთების საფუძვლებად არა მხოლოდ სიცოცხლის, არამედ ერთობლივად ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ჩვენებები გვხვდება, სხვა ჩვენებების გათვალისწინების გარეშე.<sup>36</sup> სოციალური ჩვენების მიხედვით კი ფეტუსის მშობლები ისეთ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან, რომელიც შეუძლებელს ხდის შვილის ნორმალურ გაზრდას და მისი ჯანმრთელობის უზრუნველყოფას.<sup>37</sup>

ზოგიერთ სახელმწიფოში ორსულობის შეწყვეტის დამატებით საფუძვლად მითითებულია ეთიკური და ევგენური ჩვენებები. „ეთიკური ჩვენება ნიშნავს მდგომარეობას, როდესაც ბავშვი ჩასახულია საზოგადოების ზოგადი ზნეობრივი შეხედულებების საწინააღმდეგო ფორმით, მაგალითად, დანაშაულებრივი ჩარევის (გაუპატიურების) შედეგად (ფინეთი, ბრაზილია, იაპონია) ან ინცესტის გზით (რუმინეთი, პოლონეთი, ისლანდია, ეთიოპია, ახალი ზელანდია, ბოლივია). მხოლოდ ეთიკური ჩვენების გამო აბორტის გაკეთების შესაძლებლობა გვხვდება 4 ქვეყანაში (ბრაზილია, სუდანი, მალი, ბუტანი). სხვა ქვეყნებში იგი სხვა საფუძვლებთან ერთად გამოიყენება. ევგენური ჩვენება კი გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ დაიბადოს არაჯანმრთელი, ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვი. მაგალითად, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ჩეხეთი, საფრანგეთი, იტალია. აღნიშნული ჩვენება მარტო არ გვხვდება და ძირითადად გამოიყენება სამედიცინო ჩვენებასთან ერთად.“<sup>38</sup>

რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობა საერთოდ კრძალავს ნაყოფის სიცოცხლის უფლებაში ჩარევას და, შესაბამისად, აკრძალულია აბორტის ნებისმიერი ფორმა. ასეთი მსოფლიოში სულ 6 ქვეყანაა: მალტა, ვატიკანი, დომინიკის რესპუბლიკა, ელ-

<sup>36</sup> ვ. გონაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ჩანასახის სიცოცხლის უფლება მსოფლიო ქვეყნებსა და საქართველოში, „თსუ მეცნიერება“, <https://www.tsu.ge/science/?leng=ge&lc=journal&jnomeri=4&tid=14>, [30.05.19].

<sup>37</sup> კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, რედ. თ. ბერიძე, თბილისი, 2014, 128.

<sup>38</sup> ვ. გონაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ჩანასახის სიცოცხლის უფლება მსოფლიო ქვეყნებსა და საქართველოში, „თსუ მეცნიერება“, <https://www.tsu.ge/science/?leng=ge&lc=journal&jnomeri=4&tid=14>, [30.05.19].

სალვადორი, ნიკარაგუა და ჩილე. ქვეყნების უმეტესი ნაწილი კი, გარკვეულ შემთხვევებში, ითვალისწინებს აბორტის გაკეთების შესაძლებლობას.<sup>39</sup>

„ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ჩასახულია არასრულწლოვანი ან გარკვეულ ასაკს მიღწეული ქალის ორგანიზმში. მაგალითად, ისრაელში აბორტის გაკეთება შეუძლიათ 17 წლამდე და 40 წლის ზემოთ ასაკის ქალებს, ასევე ესტონეთში - 15 წლამდე და 45 წლის ზემოთ, ხოლო რუმინეთში დადგენილია მხოლოდ ზედა ასაკობრივი ზღვარი (45 წლის ზემოთ).“<sup>40</sup>

დედის სურვილით ბავშვის განვითარების შემდეგ სტადიაზეა ნებადართული აბორტის გაკეთება: მაგალითად, პორტუგალიასა და თურქეთში დედის სურვილით აბორტის გაკეთება სამართლებრივი ჩვენებების არსებობის გარეშე ნებადართულია ნაყოფის განვითარების პირველი 10 კვირის განმავლობაში; ესტონეთში - 11 კვირის; ავსტრიაში, დანიაში, ჩეხეთში, ინდოეთსა და ნორვეგიაში - 12 კვირის, იტალიაში - 13 კვირის; ესპანეთში, საფრანგეთში, რუმინეთში, ბელგიაში, გერმანიაში - პირველი 14 კვირის; შვედეთსა და შვეიცარიაში - 18 კვირის, ხოლო იაპონიასა და დიდ ბრიტანეთში - 24 კვირის განმავლობაში. ხოლო ისეთ შემთხვევებს, როცა აბორტი კანონიერად ითვლება დედის სურვილის შემთხვევაში ბავშვის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე და შესაბამისად, მისი სიცოცხლის მოსასპობად არც რაიმე სახის ჩვენების არსებობაა დადგენილი, ვხვდებით მაგალითად, აშშ-ში, კანადასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.<sup>41</sup>

თითქმის ყველა ქვეყანაში კანონით დაშვებულია აბორტი, თუ ის ქალის სიცოცხლის გადასარჩენად ხდება. ქვეყნების 3/5-ზე მეტში აბორტი ნებადართულია ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და ქვეყნების დაახლოებით 40 პროცენტში აბორტი ნებადართულია გაუპატიურების, ინცესტისა და

<sup>39</sup> შ. გეწაძე, ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2015, 58-59.

<sup>40</sup> ვ. გონაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ჩანასახის სიცოცხლის უფლება მსოფლიო ქვეყნებსა და საქართველოში, „თსუ მეცნიერება“, <https://www.tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=4&tid=14>, [30.05.19].

<sup>41</sup> იქვე.

არასრულუფასოვანი ნაყოფის შემთხვევაში. ქვეყნების ერთი მესამედი ნებას რთავს აბორტს, თუკი ის ხდება სოციალურ ან ეკონომიკურ საფუძველზე, და ერთი მეოთხედი მაინც ნება რთავს აბორტზე სურვილის გათვალისწინებით.<sup>42</sup>

ყველაზე ფუნდამენტური საკითხი, რომელიც კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საჭიროებს პასუხის გაცემას, არის ის, თუ როგორ უნდა განისაზღვროს არსების ადამიანობა. აბორტის მომხრეთა აზრით, ფეტუსი საზოგადოების მიერ არ არის მიღებული ადამიანად, მას არ ძალუძს დაამყაროს ურთიერთობა სხვასთან, ვერ ვხედავთ მას ამიტომაც იგი არ არის საზოგადოების წევრი. ცხადია, რომ ამა თუ იმ არსების ადამიანად აღიარებისათვის არ არის საჭირო საზოგადოების მიერ მისი აღიარება. ადამიანობის შეზღუდვისა და გარკვეული ჯგუფების გამოყოფის ნებისმიერი ცდა წარმოშობს ისეთი ძალაუფლებისა და პრეცედენტის შექმნის საშიშროებას, რომელიც საშუალებას მისცემს საზოგადოების მაკონტროლებელ ჯგუფებს გამოეყონ სხვა ჯგუფები მხოლოდ მათთვის მიღებული სტანდარტების მიხედვით. სიცოცხლის უფლების საკითხი განეკუთვნება სამართლებრივ სფეროს, რომელიც მოიცავს პერიოდს ჩასახვის მომენტიდან ადამიანის გარდაცვალებამდე.<sup>43</sup>

„ცოცხალი ორგანიზმი ჩასახვის მომენტიდან წარმოიშობა და მაშინვე ხდება გენეტიკური კოდისა და ადამიანის პიროვნული პოტენციალის მატარებელი. დაუბადებელ ბავშვს თავის უჯრედებში აქვს 46 ქრომოსომა, ეს უკანასკნელი კი მეცნიერებისათვის ადამიანის გენეტიკური კოდის განმსაზღვრელი პირობაა.“<sup>44</sup>

დედა და შვილი ჩასახვის მომენტიდან ერთმანეთისაგან განცალკევებული და განსხვავებული ადამიანები არიან, რაც გამოკვლევების შედეგად ცალსახად დასტურდება. ხშირად მათ გააჩნიათ განსხვავებული სქესი, კანის პიგმენტაცია, თვალისა და თმის ფერი, სისხლის ჯგუფი. ბავშვი გამოიმუშავებს თავის პირად სანაყოფო გარსს, თავისივე სიცოცხლის ხაზსა და მკვებავ სისტემას (პლაცენტას). ეს

<sup>42</sup> გ. შელია, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა საქართველოში (შედარებითი მიმოხილვა), თბილისი, 2014, 7.

<sup>43</sup> ლ. ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისათვის, ლ. ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისათვის, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2002, 263.

<sup>44</sup> იქვე. 266.

ყველაფერი ეკუთვნის ბავშვს და არა დედას. დედა და ბავშვი დაკავშირებული არიან მხოლოდ და მხოლოდ პლაცენტით, რომელიც წარმოადგენს დაცვით ბარიერებსა და გაცვლით ფუნქციას.<sup>45</sup> ფეტუსი არ არის დედის სხეულის უბრალო ნაწილი, უფლებო არსება, იგი დამოუკიდებელი, ახალი სიცოცხლეა, დაუბადებელი ადამიანია.<sup>46</sup>

“უფლება „არ იყო მოკლული“ სხვის მიერ, სიცოცხლის უფლების ძირითადი შინაარსია, სიცოცხლის უფლება კი ინდივიდის უზენაესი უფლებაა, რაც აუცილებლად უნდა გავრცელდეს როგორც დაბადებულ, ისე დაუბადებელ ადამიანზე. სულის მქონე არც ერთი ადამიანი არ შეიძლება იყოს სხვისი, თუნდაც დედის მკვლელობის მსხვერპლი.”<sup>47</sup>

“ადამიანურობის საწყისის დაცვის გარეშე ადამიანის დაცვა სრულფასოვანი ვერასოდეს იქნება. ფეტუსის სიცოცხლის უფლება ადამიანის სიცოცხლის უფლებისაგან განუყოფელია, სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ფეტუსის სიცოცხლის უფლების აღიარება და საკანონმდებლო დაცვა. თუკი ვაღიარებთ, რომ ფეტუსი არის ადამიანური არსება, ჩანასახის სიცოცხლის უფლებაზე უარის თქმით, უარს ვეუბნებით ადამიანს დაბადებაზე. არ შეიძლება მეტისმეტად არათანაზომიერი სამართლებრივი მოპყრობა დაბადებული და დაუბადებელი სიცოცხლისადმი.”<sup>48</sup>

### 1.3. სიცოცხლის დასაწყისი და აბორტის აკრძალვის პრაქტიკული მახასიათებლები

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით მსფლიოში ყოველწლიურად 15 მილიონი ბავშვი იბადება ორსულობის 37-ე კვირაზე ადრე. ამერიკის შეერთებულ შტატებში, პედიატრია და სამეანო საზოგადოებები თანხმდებიან, რომ 22 კვირიანი გესტაცია არის სიცოცხლისუნარიანობის ქვედა ზღვარი, თუმცა აღნიშნული მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა იმ ფაქტმა, რომ 2014 წელს ტეხასის შტატში დაიბადა გოგონა, ლაილა,

<sup>45</sup> ნ. ცომია, სიცოცხლის უფლებისა და ადამიანის სხვა ძირითად უფლებათა კოლიზია, მართლმსაჯულება N2, 2007, 121.

<sup>46</sup> თ. სადრაძე, უკანონო აბორტის საკანონმდებლო პოზიციები, გურამ ნაჭყებია-75, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, 177.

<sup>47</sup> იქვე, 186.

<sup>48</sup> თ. სადრაძე, ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებები, ჟურნალი „სპექტრი“, 2017, 95-96.

ორსულობის 21 კვირისა და 4 დღის თავზე,<sup>49</sup> მიუხედავად იმისა, რომ ექიმები მის დალუპვას ვარაუდობდნენ, რადგან ფილტვები არ ჰქონდა სათანადოდ განვითარებული, რომ ორგანიზმისათვის ჟანგბადი მიეწოდებინა, გოგონა გადარჩა და დღესაც ჩვეულებრივ განაგრძობს ცხოვრებას, არ აქვს არანაირი სამედიცინო ნაკლი ან შეზღუდული შესაძლებლობა.<sup>50</sup>

„ამერიკელი პრაქტიკოსი მეან-გინეკოლოგი, დოქტორი ბერნარდ ნადარსონი იზიარებს შეხედულებას იმის თაობაზე, რომ განაყოფიერების მომენტიდან ახალი სიცოცხლე წარმოიშობა. მან შეისწავლა ემბრიონის სიცოცხლე და გამოარკვია, თუ როდის იწყებს ის არსებობას. მან გამოიყენა ისეთი სამედიცინო ტექნიკური საშუალებები, როგორებიცაა: ულტრაბგერა, ემბრიოსკოპია, ემბრიონის გულის ელექტრონული მონიტორინგი, ჰისტეროსკოპია, რადიობიოლოგია და სხვა. გამოკვლევები ასაბუთებს, რომ ჩანასახი დამოუკიდებელი ადამიანია და ეს მეცნიერული ჭეშმარიტებაა. დასკვნების დასადასტურებლად მეცნიერმა გამოიყენა ულტრაბგერითი გადაღება, რომელსაც სახელად „უხმო ყვირილი“ უწოდა, ფილმში აღბეჭდილია 12 კვირის ფეტუსის მდგომარეობა აბორტის დროს. აბორტის ყველაზე გავრცელებულ (98%) ფორმას წარმოადგენს აბორტი ვაკუუმით. ბასრბოლოიანი პლასტიკური მილი თავსდება საშვილოსნოში და ვაკუუმის მანქანა დაუბადებელ ბავშვს ნაჭრებად ჭრის. ხელსაწყო გამოწოვს ბავშვის ნაჭრებსა და პლაცენტას. ამ დროს 12 კვირის ნაყოფი წინასწარ გრძნობს საფრთხეს იმ ინსტრუმენტების მხრიდან, რომლითაც აბორტი კეთდება; გრძნობს საშიშროებას, ცდილობს, თავი დააღწიოს ინსტრუმენტებს და ამას იმით გამოხატავს, რომ მოძრაობს სწრაფად და მშფოთვარედ, გულის ცემა მატულობს 140-იდან 200-მდე, ფართოდ აღებს პირს და უხმოდ ყვირის.“<sup>51</sup>

„ვროკულ პრაქტიკაში არსად მოიპოვება მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ემბრიონს/ფეტუსს არ გააჩნია სიცოცხლის უფლება. უბრალოდ, საკითხი ეხება იმას, რომ

<sup>49</sup> J. Howard, Born before 22 weeks, 'most premature' baby is now thriving, CNN, 11.11.17.

„<https://edition.cnn.com/2017/11/08/health/premature-baby-21-weeks-survivor-profile/index.html>“, [08.06.19].

<sup>50</sup> A. Pawlowski, 'Miracle baby': Born at 21 weeks, she may be the most premature surviving infant, TODAY, 09.11.17, „<https://www.today.com/health/born-21-weeks-she-may-be-most-premature-surviving-baby-t118610>“, [08.0.19].

<sup>51</sup> ნ. ცომია, სიცოცხლის უფლებისა და ადამიანის სხვა ძირითად უფლებათა კოლიზია, მართლმსაჯულება N2, 2007, 119.

ეს უფლება არაა აბსოლუტური, რომ აბორტის სრული აკრძალვა არღვევს ქალის ძირითად უფლებებს.<sup>52</sup>

„ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიამ 1978 წელს დაადგინა, რომ ნაყოფის სიცოცხლის აბსოლუტური უფლების აღიარება ეწინააღმდეგება კონვენციის საგანსა და მიზანს. კომისიის აზრით, სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს გარკვეული შეზღუდვები ფეხმძიმე ქალის აბორტის უფლებაზე.“<sup>53</sup>

„ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი დაუშვებლად მიიჩნევს აბორტის სრულ აკრძალვას. იგი დიდი ყურადღებით ეპყრობა ქალის ჯანმრთელობისა და ავტონომიურობის საკითხებს. ევროპული პრაქტიკა აღიარებს ფეხმძიმე ქალის უფლებას, შეწყვიტოს ორსულობა, თუ ის ზიანს აყენებს მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.“<sup>54</sup> მაგალითად საქმეზე *Tysiāc v Poland*, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემა) დარღვევად მიიჩნია თერაპიულ აბორტზე უარი ორსული ქალისათვის, მიუხედავად დედის მხედველობის გაუარესების რისკისა. აღნიშნულ საქმეში განმცხადებელს აწუხებდა მწვავე მიოპია (ახლომხედველობა), მესამე ორსულობის დროს მან გადაწყვიტა გაეგლო სამედიცინო შემოწმება, რადგან შიშობდა რომ მისი ჯანმრთელობა შეიძლება გაუარესებულიყო ორსულობის გამო. ჩატარებული სამედიცინო კვლევების მიუხედავად, რომლის მიხედვითაც განმცხადებელის მშობიარობის შემდეგ მხედველობის გაუარესების მაღალი რისკი იყო, ექიმებმა არ გასცეს აბორტის ნებართვა, რადგან არეობდა ჯანმრთელობის გაუარესების რისკი და არა გარდაუვალობა.<sup>55</sup> ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, როცა აბორტი სამედიცინო ჩვენებით არის დასაშვები, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ისეთი სამართლებრივი

---

<sup>52</sup> შ. გეწაძე, ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2015, 67.

<sup>53</sup> ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2005, 51.

<sup>54</sup> შ. გეწაძე, ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2015, 66-67.

<sup>55</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Tysiāc v Poland*, პარ. 8-9.

ნორმები, რომ ნათლად იკვეთებოდეს ფეხმძიმე ქალის სამართლებრივი მდგომარეობა და შემცირდეს აბორტის აკრძალვისა და ექიმებზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის რისკით გამოწვეული საუარესო ეფექტი.<sup>56</sup> ამასთან აბორტის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურები უნდა იყოს დროული, რათა მაქსიმალურად შემცირდეს და აცილებულ იქნას დედის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება.<sup>57</sup> გარდა ამისა კომიტეტმა გამოთქვა შეშფოთება ქვეყანაში აბორტთან დაკავშირებული კანონმდებლობის მკაცრ მიდგომებთან, რამაც გაზარდა არალეგალური აბორტების რიცხვი, რაც რისკის ქვეშ აყენებს ქალთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობას; ასევე კონტრაცეპტივების მაღალი ფასების გამო, რაც მათზე ხელმისაწვდომობას ამცირებს; სასკოლო განათლების სისტემიდან სექსუალური განათლების აღმოფხვრისა და ოჯახების დაგეგმვის პროგრამების სიმცირეზე.<sup>58</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე რესმა გადაწყვეტილებაში საქმეზე *vo. V. France*, სადაც 21 კვირის ნაყოფი ექიმის დაუდევრობის მსხვერპლი გახდა, დააფიქსირა საწინააღმდეგო მოსაზრება და თქვა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ზიანის ანაზღაურება (საავადმყოფოს ექიმის დაუდევრობის გამო) არ არის ის ადეკვატური და ეფექტური ღონისძიება, რომლითაც დაცული იქნება ფეტუსის სიცოცხლის უფლება. ზოგადად, სისხლის სამართლი არის ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განსაზღვრავს იმ ღირებულებებს, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ დაცვას სიცოცხლე კი, რომელიც კონვენციის მთავარი თუ არა ერთ-ერთი ღირებულებაა პრინციპულად მოითხოვს, რომ იყოს სისხლის სამართლებრივად დაცული.<sup>59</sup>

„დაზარალებული სიცოცხლის განკარგვის უფლება მხოლოდ მის მფლობელს აქვს, ხოლო დაუზარალებელისა-მის მატარებელს. სიცოცხლის უფლება ერთნაირად აქვს როგორც დაზარალებულ, ისე დაუზარალებელ სიცოცხლეს, განსხვავება მხოლოდ მის განკარგვაშია, სწორედ ამიტომ დაუზარალებელია ფეტუსის სიცოცხლის უფლების

<sup>56</sup> იქვე, პარ. 116.

<sup>57</sup> იქვე, პარ. 118.

<sup>58</sup> იქვე, პარ. 48.

<sup>59</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Vo. v. France* (განსხვავებული აზრი) პარ. 1.

შეზღუდვის მიმართ ლიბერალური დამოკიდებულება, რომელიც დაუბადებელ ადამიანს სიცოცხლის უფლებას ართმევს.<sup>60</sup> მისი სიცოცხლის უფლება ისეთივე ბუნებითი უფლებაა, როგორც დაბადებული ადამიანის სიცოცხლისა. გარდა ამისა, ფეტუსის სიცოცხლის დაცვის გარეშე ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვა ვერასოდეს იქნება სრული. ფეტუსის სიცოცხლის უფლება, ფაქტობრივად, ადამიანის დაბადების უფლებაა. წარმოიქმნება მეტისმეტი არათანაზომიერება კონვენციის საფუძველზე დაბადებული და დაუბადებელი სიცოცხლისადმი სამართლებრივ მოპყრობას, მათ სტატუსსა და სამართლებრივი დაცვის ხარისხებს შორის.<sup>61</sup>

უკანასკნელ პერიოდში ევროპაში გაჩნდა მოსაზრება, რომ აბორტი შესაძლებელია არა მარტო ბავშვის დაბადებამდე, არამედ მშობიარობის შემდეგაც, რასაც უწოდებენ პოსტნატალურ აბორტს (ინფანტიციდი). 2012 წელს რამდენიმე ევროპელმა ბიოეთიკოსმა მხარი დაუჭირა ამ ფენომენს. ისინი მიუთითებენ, რომ ახალდაბადებული ბავშვი, ისევე როგორც ფეტუსი, ჯერ კიდევ არ არის ადამიანი, იგი მხოლოდ და მხოლოდ პოტენციური ადამიანია, რადგან მას არ გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მორალი, მიზნები, იმედები და სხვა ისეთი ძირითადი ნიშნები, რაც ახასიათებს პირს. შესაბამისად, ისინი დასაშვებად მიიჩნევენ იმის სიკვდილს, ვინც ჯერ პიროვნება არაა, თუმცა ეს მოსაზრება მხარდამჭერების სიმრავლით ვერ სარგებლობს.<sup>62</sup>

ადამიანის ემბრიონის ქსოვილების გამოყენებას კლინიკურ მედიცინაში და მისგან სპეციალური პრეპარატების დამზადებას დადებით შედეგებთან ერთად, გარკვეული ნეგატიური მოვლენებიც ახლავს, ხშირია ამ საკითხებთან დაკავშირებული კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები. მსოფლიოში (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით) აღრიცხულია არა ერთი შემთხვევა, როდესაც ქალები სპეციალურად

<sup>60</sup> თ. სადრამე, უკანონო აბორტის საკანონმდებლო პოზიციები, გურამ ნაჭყებია-75, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, 193.

<sup>61</sup> ე. გოცირიძე, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2007, 69.

<sup>62</sup> შ. გეწამე, ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2015, 58.

იკეთებენ აბორტს, რათა ნაყოფი, გარკვეული გასამრჯელოს მიღების საფასურად, ჩააბარონ სამედიცინო დაწესებულებებს.“<sup>63</sup>

„მაღზე საგულისხმოა, რომ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ და ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ფართო შინაარსი მიანიჭეს „სიცოცხლის უფლებას“ და დაადგინეს, რომ „სიცოცხლის უფლება“, რომელიც დაცული იყო კონვენციის მე-2 მუხლით და შიდა კონსტიტუციური პრინციპებით, გამოიყენებოდა ფეტუსის მიმართ, თუმცა იმ დათქმით, რომ ეს უფლება აბსოლუტური არ იყო.“<sup>64</sup>

საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლომ კანონთან დაკავშირებით, რომელიც ფეხმძიმობის შეწყვეტისათვის სამართლებრივ ვადას ზრდიდა ათიდან 12 კვირამდე (ფეხმძიმობის დაწყებიდან), უარყო პრეტენზიები, რომელთა თანახმადაც, ხსენებული კანონები ხელყოფდა ადამიანთა პატივისცემის პრინციპს მისი სიცოცხლის დაწყებიდანვე, არღვევდა პიროვნების ღირსებისა და ყველა ფორმის დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცვის უფლებას და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების ხელმძღვანელთა სინდისის თავისუფლებას. კერძოდ საკონსტიტუციო საბჭომ უარყო საჩივარი, რომელიც წარმოადგინა სამოცხე მეტმა სენატორმა და ეხებოდა კანონს ფეხმძიმობის თვითნებურ შეწყვეტასა და კონტრაცეპტივებს და დაადგინა, რომ ფეხმძიმობის შეწყვეტისათვის ნებადართული სამართლებრივი ვადის ათიდან 12 კვირამდე გაზრდა (ფეხმძიმობის დაწყებიდან) იმ შემთხვევებში, როდესაც ქალს ფეხმძიმობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები აქვს, შეესაბამება კონსტიტუციას. კერძოდ, სასამართლომ უარყო პრეტენზიები, რომლებიც ეფუძნებოდა სიცოცხლის დაწყებიდანვე ადამიანის პატივისცემის პრინციპის ხელყოფას, პიროვნების ღირსებისა და ყველა ფორმის დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცვის უფლების დარღვევას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების ხელმძღვანელთა სინდისის

<sup>63</sup> მ. კვაჭაძე, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები თანამედროვე მედიცინაში, საერთაშორისო-სამართლებრივი და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ასპექტები, ავტორეფერატი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999, 19-20, იხ. ციტირება: თ. სადარაძე, უკანონო აბორტის საკანონმდებლო პოზიციები, გურამ ნაჭყებია-75, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, 187.

<sup>64</sup> ე. გოცირიძე, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2007, 72.

თავისუფლების შელახვას. კანონმდებელმა ბალანსი დაადგინა კონსტიტუციაში დასახელებულ ყველა ფაქტორს შორის, მათ შორის, იგულისხმება იმ ქალთა პირადი თავისუფლება, რომლებსაც შეექმნათ გარკვეული პრობლემები ფეხმძიმობასთან დაკავშირებით.<sup>65</sup>

მსოფლიოში აღიარებულია, რომ ყოველწლიურად არასასურველი 80 მილიონი ორსულობის ნახევარი მთავრდება ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტით. მიუხედავად იმისა საზოგადოებისათვის მისაღებია თუ არა აბორტი, ან არის თუ არა ლეგალური საშუალება ამ პროცედურის მიღებისა, ის მაინც ხდება არალეგალურად, არა უსაფრთხო გზით.<sup>66</sup>

არ შეიძლება იმის უგულვებელყოფა, რასაც მსოფლიოს მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აბორტთან ბრძოლა აკრძალვითა და იურიდიული მექანიზმებით არ იძლევა შედეგებს, მისი დამლევა მხოლოდ მოსახლეობის სულიერი, მენტალური და კულტურული გაჯანსაღების შედეგადაა შესაძლებელი. თუკი კანონმდებელი სამედიცინო პერსონალისთვის აბორტს უკანონოდ გამოაცხადებს ორსულობის ნებისმიერ სტადიაზე, ხოლო საზოგადოება საკმარისად შეგნებული და სულიერად ამაღლებული არ აღმოჩნდება, შესაძლოა, სავალალო შედეგები მივიღოთ-თვითაბორტებისა და „იატაკვეშა“ აბორტების სახით. ასეთ ვითარებაში შედეგად მივიღებთ იმას, რომ აბორტების რიცხვი არ შემცირდება და ყველა იმ ქალის სიცოცხლე და ჯანმრთელობა დიდი რისკის ქვეშ დადგება, ვისაც აბორტის გაკეთება მყარად აქვს გადაწყვეტილი და მიზნის მისაღწევად სხვადასხვა საშუალებებს მოსინჯავს, რაც თავის მხრივ, ქალთა სიკვდილიანობის მაჩვენებელს საგრძნობლად გაზრდის. გასათვალისწინებელია ირლანდიის გამოცდილებაც, სადაც აბორტი აკრძალულია, თუმცა ირლანდიელი ქალები აბორტს მაინც იკეთებენ. აკრძალვამ ისინი ვერ შეაჩერა. კანონის სიმკაცრიდან გამომდინარე, ირლანდიელი ქალები აბორტის გასაკეთებლად სხვა ქვეყანაში, ძირითადად ინგლისში, შოტლანდიასა და უელსში მიდიან, რაც ასევე

---

<sup>65</sup> ევროპის ქ ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით, თარგმანი: თ. მამუკელაშვილი, რ. ტუშური, თბილისი, 2004, 68.

<sup>66</sup> გ. შელია, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა საქართველოში (შედარებითი მიმოხილვა), თბილისი, 2014, 5.

ქმნის რისკის ფაქტორს ორსული ქალის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის ორსულობის ინდივიდუალური გართულებებიდან გამომდინარე.<sup>67</sup>

„გუტმაჩერის ინსტიტუტის კვლევების თანახმად, რომლებიც აბორტის კრიმინალიზაციას შეეხება, აბორტის კრიმინალიზაცია სულაც არ ამცირებს ქვეყანაში აბორტების რაოდენობას, პირიქით იგი განსაკუთრებულ ნეგატიურ ფსიქოლოგიურ წნებს ახორციელებს. ამერიკის შეერთებული შტატების ნაწილში (არიზონა, კონექტიკუტი, ილინოისი, ინდიანა, ლუიზიანა, ნებრასკა, ნევადა, მინესოტა, ოკლაჰომა და სხვ.) აბორტი უკანონოდ არის გამოცხადებული ორსულობის ნებისმიერ სტადიაზე, თუმცა ვერც ერთ მათგანში კანონის სიმკაცრემ შედეგი ვერ გამოიღო. მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში აბორტი თითქმის ყველა ქვეყანაში აკრძალული იყო. ამ პერიოდში უკანონო აბორტებმა თითქმის კრიმინალური ხასიათი მიიღო.“<sup>68</sup> ამიტომ ფეტუსის სიცოცხლის უპირობო დაკანონება არ არის მიზანშეწონილი, რადგან ეს დაუპირისპირდება დედის უფლებას, გაიკეთოს აბორტი ისეთ შემთხვევაში, როდესაც მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.<sup>69</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ფეტუსი ყოველი ადამიანის სიცოცხლის საწყისია, რომლის გარეშეც ადამიანი ამქვეყნად ვერ მოევლინება, აუცილებელია ღირსეულად განისაზღვროს ფეტუსის სამართლებრივი სტატუსი, როგორც საერთაშორისო-სამართლებრივ, ისე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე რათა მოხდეს მისი, როგორც ადამიანის სიცოცხლის უფლების რეალური დაცვა.<sup>70</sup>

---

<sup>67</sup> თ. სადრამე, ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებები, ჟურნალი „სპექტრი“, 2017, 86.

<sup>68</sup> იქვე, 87.

<sup>69</sup> მ. თოლორდავა, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, სარედაქციო კოლეგია: მთავარი რედ. მ. ჯიქია, სარედაქციო კოლეგიის წევრები: თ. ნადირაშვილი, ე. თხილავა, ა. წივწივაძე, თბილისი, 2018, 19.

<sup>70</sup> თ. სადრამე, უკანონო აბორტის საკანონმდებლო პოზიციები, გურამ ნაჭყებია-75, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, 176.

## 2. ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიები

სხადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად არის მოწესრიგებული ის საკითხები რაც ფეტუსის სიცოცხლის უფლებასა და ზოგადად სიცოცხლის დასაწყისის განსაზღვრას უკავშირდება. სახელმწიფოთა შორის საერთო დეფინიციის ფაქტობრივად არ არსებობის გამო, ფეტუსის სიცოცხლის უფლება სრულად ვერ პოვებს ასახვას ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებში.

### 2.1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, მე-3 მუხლით მართალია აღიარებს, რომ ყველას აქვს სიცოცხლის უფლება, თუმცა „ყველაში“ არ იგულისხმება ფეტუსი რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ დეკლარაციის მომზადების დროს ზოგიერთმა სახელმწიფომ (მაგ: ჩილე, ლიბია) წარმოადგინა პროექტი, რომლის თანახმად, დეკლარაცია ითვალისწინებდა სიცოცხლის უფლების დაცვას ჩასახვის მომენტიდან, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის დანია, აშშ და საბჭოთა კავშირი, ამ პროექტს არ დაეთანხმა იმ საბაზით, რომ ბევრ ქვეყანას არ გააჩნია აბორტის შესახებ კანონები. დეკლარაცია კი მხოლოდ და მხოლოდ იმ შინაარსს უნდა შეიცავდეს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნისათვის იქნება მისაღები.<sup>71</sup>

### 2.2. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

რაც შეეხება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს, რომელიც მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს, მისი მე-6 მუხლი, რომელიც სიცოცხლის განუყოფელ უფლებაზე მიუთითებს, ასევე არ გულისხმობს თავისი შინაარსით

<sup>71</sup> ლ. ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისათვის, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. ვ. კორკელია, თბილისი, 2002, 257.

ფეტუსის სიცოცხლის დაცვის გარანტიებს, გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის პროექტზე მუშაობისას ზოგიერთმა სახელმწიფომ წარმოადგინა დამატება, რაც პაქტის მე-6 მუხლში სიტყვების- „ჩასახვის მომენტიდან“, ჩამატებას ითვალისწინებდა, თუმცა ეს ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა.<sup>72</sup>

### **2.3. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია**

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, რომელიც მიღებულია 1969 წლის 22 ნოემბერს, სან ხოსეში და ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს, მე-4 მუხლით ცალსახად აღიარებს, რომ ყოველ ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცული უნდა იყოს და პატივი სცენ მას ჩასახვის მომენტიდან, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ხაზგასმულია სიცოცხლის დაცვა ჩასახვისთანავე ფაქტობრივად, კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს შესაძლებლობა მიეცათ შიდა კანონმდებლობით ნებადართულად გამოეცხადებინათ აბორტი ისეთ გარემოებებში როგორცაა სამედიცინო და ეთიკური ჩვენებები.<sup>73</sup>

### **2.4. ბავშვის უფლებათა და ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენცია**

ბავშვის უფლებათა კონვენციას რაც შეეხება, რომელიც მიღებულ იქნა 1989 წლის 20 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს. მის პრეამბულაში მითითებულია, რომ ბავშვს ესაჭიროება დაცვა, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ. ამ ფორმულირებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არებობდა და არსებობს. ერთნი მხარს უჭერენ იმ მოსაზრებას, რომ დაუბადებელი ბავშვი ჯერ არ არის ადამიანი, ვისი უფლებებიც დაცული უნდა იყოს კონვენციით. ხსვები კი

---

<sup>72</sup> იქვე, 258.

<sup>73</sup> ი. გელაშვილი, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, რედ. თ. ნინიძე, თბილისი, 2012, 16.

ფიქრობენ, რომ კონვენციამ არ უნდა გაუკეთოს იგნორირება იმ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რასაც დაუბადებელი ბავშვის უფლებები ჰქვია.<sup>74</sup>

კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წლის 4 აპრილს და რომელიც ბიოლოგიისა და მედიცინის გამოყენების სფეროში ადამიანის ღირსების დაცვას ემსახურება იმ ფონზე, რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება არაა აბსოლუტური, უზრუნველყოფს მისი ღირსების აბსოლუტურ დაცვას.<sup>75</sup>

## 2.5. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროსასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით ყველა ადამიანის სიცოცხლე კანონით უნდა იყოს დაცული, თუმცა მისი ფარგლები ზოგიერთ ასპექტში ჯერ კიდევ დაუდგენელია. კონვენცია დუმს იმ საკითხზე, თუ რა მომენტიდან იწყება სიცოცხლე. საკითხი იმის შესახებ, ვრცელდება თუ არა კონვენციის მე-2 მუხლით დაცული სიცოცხლის უფლება ჩანასახის სიცოცხლეზე, წამოიჭრება ხოლმე ისეთ საქმეებზე, რომლებიც აბორტის შესახებ კანონმდებლობას ეხება. კონვენცია არ იძლევა არავითარ განსაზღვრებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მომენტიდან იწყება სიცოცხლის უფლება. ამ ნიშან-თვისებას იზიარებს ბევრი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებაც, რაც მეტყველებს იმაზე, რომ არ არსებობს არავითარი ზოგადი შეთანხმება ჩანასახის სიცოცხლის უფლებაზე. რაც თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ ეს საკითხი რჩება ადგილობრივი ხელისუფლების დისკრეციის სფეროში.<sup>76</sup>

ამასთან დაკავშირებით, მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ კონვენციის ხელმოწერისას, 1950 წელს, პრაქტიკულად ყველა ხელმოწერი ქვეყნის შიდა კანონმდებლობა უშვებდა აბორტს განსაზღვრულ გარემოებებში. ეს იმის მაუწყებელია,

<sup>74</sup> შ. გეწამე, ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2015, 50.

<sup>75</sup> ე. გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, რედაქტორები: პ. ტურავა, ც. ჯიშკარიანი-თევდორაძე, ვ. ჟვანია, თბილისი, 2013, 109.

<sup>76</sup> ჯ. მერდოქსი, დ.ი. სტრაისტეანუ, დ. ვედერნიკოვა, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-2 მუხლი), რედაქტორები: ჯ. მერდოქსი, დ.ი. სტრაისტეანუ, დ. ვედერნიკოვა, ბ. ფერნანდესი, ტ. კარპენტერი, თბილისი, 2009, 23-24.

რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება კონვენციის ხელმოწერისას, შეუძლებელია ნაგულისხმები ყოფილიყო.<sup>77</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე A, B and C v. Ireland განაცხადა, რომ მუცლად მყოფი ბავშვი არ განიხილება, როგორც პირი, რომელიც პირდაპირ არის დაცული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით (სიცოცხლის უფლება) და მისი სიცოცხლის უფლება შეზღუდულია დედის უფლებებითა და ინტერესებით, თუმცა არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ გარკვეულ შემთხვევებში ამ უფლების დაცვის გარანტიები შეიძლება გავრცელდეს დაუბადებელ ბავშვზეც.<sup>78</sup> ვინაიდან ევროპაში არ არსებობს შეთანხმება სიცოცხლის დაწყების სამეცნიერო და იურიდიულ განმარტებაზე და რადგან ჩანასახის უფლებები და დედის უფლებები ურთიერთკავშირშია, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თავისუფალი მოქმედების ფარგლები აბორტის აკრძალვის საკითხთან დაკავშირებით და თავად უნდა განსაზღვროს, თუ როგორ დაიცავს ბალანსს ჯერ არ დაბადებული ბავშვის უფლებებსა და დედის ინტერესებს შორის.<sup>79</sup>

აღნიშნულ საქმეში ირლანდიაში, პირის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ფარგლებში, აკრძალა აბორტი, ხოლო მოგვიანებით ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც შევიდა ცვლილება ირლანდიის კონსტიტუციაში, სადაც სახელწმიფომ აღიარა ჯერ კიდევ არ დაბადებული ბავშვის სიცოცხლის უფლება, ასევე დედის სიცოცხლის თანაბარი უფლება და განისაზღვრა აბორტის კანონიერება მხოლოდ სამედიცინო ჩვენების გამო, როცა არსებობს რეალური და არსებითი რისკი დედის სიცოცხლისთვის, რომლის აცილებაც შესაძლებელია მხოლოდ ორსულობის შეწყვეტით. ევროპული სასამართლოსადმი წარდგენილ სარჩელში პირველი და მეორე მომჩივანი გამოთქვამდნენ პრეტენზიას, რომ მათ არ ჰქონდათ ირლანდიაში აბორტის გაკეთების საშუალება ვინაიდან ირლანდიული კანონმდებლობით არ იყო დაშვებული აბორტის გაკეთება ჯანმრთელობის და/ან სოციალური ჩვენების გამო, არამედ მხოლოდ

<sup>77</sup> ე. გოცირიძე, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2007, 64.

<sup>78</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, A, B and C v. Ireland, პარ. 80.

<sup>79</sup> იქვე პარ. 233.

მაშინ, როდესაც არსებობდა რეალური რისკი დედის სიცოცხლისთვის, რითაც ირლენდმა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, თუმცა ევროსასამართლომ თქვა, რომ ტერმინი „პირადი ცხოვრება“ ფართო გაგებით მართალია მოიცავს პირადი ავტონომიასა და განვითარების უფლებას,<sup>80</sup> თუმცა აღნიშნული მუხლი ვერ იქნება განმარტებული, როგორც აბორტის უფლების მიმნიჭებელი მუხლი. მართალია პირველი და მეორე მომჩივანის ორსულობის შეწყვეტის აკრძალვა იწვევს მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას,<sup>81</sup> თუმცა ეს ჩარევა იყო კანონთან შესაბამისი და ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, რაც მდგომარეობდა 1983 წლის რეფერენდუმით ირალნდიელთა უმეტესობის მიერ არჩეული მორალური ღირებულებების დაცვაში.<sup>82</sup>

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციისგან განსხვავებით, რომელიც ითვალისწინებს სიცოცხლის უფლების დაცულობას ჩასახვის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლი დუმს ამის შესახებ და არ განსაზღვრავს სიცოცხლის უფლების დაწყების მომენტს.<sup>83</sup>

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში - *vo. V. France* თქვა, რომ ფეტუსი არ ითვლება იმ პირად, რომლის სიცოცხლესაც პირდაპირ არის დაცული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით. მაშინაც კი როცა დაუბადებელ ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება, ის იზღუდება დედის უფლებითა და ინტერესებით, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში არ არის გამორიცხული, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედება გავრცელდეს დაუბადებელ ბავშვზეც.<sup>84</sup>

აღნიშნულ საქმეში ვიეტნამელი ქალბატონი, რომელიც ორსულად იყო მივიდა საავადმყოფოში სამედიცინო შემოწმებაზე. იმავე საავადმყოფოში იმავე გვარის ქალბატონი იყო მისული კონტრაცეპტივის ამოღებისათვის. რის გამოც პაციენტები

---

<sup>80</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *A, B and C v. Ireland*, პარ. 212.

<sup>81</sup> იქვე, პარ. 214.

<sup>82</sup> იქვე, პარ. 222.

<sup>83</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Vo. v. France*, პარ. 75.

<sup>84</sup> იქვე, პარ. 80.

ერთმანეთში აერიათ და შეცდომით ორსულ ვიეტნამელ ქალს ექიმმა ჩაუტარა ისეთი სამედიცინო ჩარევა, რამაც მუცლის მოშლა გამოიწვია. აღნიშნულმა ქალბატონმა შეიტანა სისხლის სამართლის სჩვიარი სასამართლოში თავისი შვილის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის (მუცლად მყოფი გოგონა იყო 20-21 კვირის, 375გრ და სიგრძით 28 სანტიმეტრი. (პარ. 14)), თუმცა რადგან არ არსებობს სიცოცხლისუნარიანობის ზუსტი მეცნიერული ცნება<sup>85</sup> საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა პრინციპით, რომ სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობა ვიწროდ უნდა განმარტებულიყო<sup>86</sup> და თქვა, რომ რომ ფეტუსი არ შეიძლება ყოფილიყო გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი,<sup>87</sup> შესაბამისად ექიმი პასუხს ვერ აგებდა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის, ამიტომ შეწყდა მის მიმართ სისხლის სამართალწარმოება. განმცხადებელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ჩიოდა, რომ ვერ შეძლო საკუთარი ინტერესების დაცვა, რადგან საფრანგეთში არ არსებობდა ფეტუსის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის შესაბამისი სასჯელი.<sup>88</sup>

ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართლის მიერ, კონვენციის მე-2 მუხლის განმარტებისას მხედველობაში იქნა მიღებული ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით ყოველი კონკრეტული ქვეყნის სხვადასხვა მიდგომები სამართლებრივი, სამედიცინო, ფილოსოფიური, ეთიკური და რელიგიური კუთხით და რადგან აღნიშნულ საკითხზე კონსესუსის არ არსებობის გამო შეუსაბამო იქნებოდა საერთო მრალური კოდექსის შექმნა, სახელმწიფოს მიანიჭა დისკრეციული უფლებამოსილება მუცლად მყოფი ბავშვის სიცოცხლის დასაწყისის მომენტის განსაზღვრისათვის.<sup>89</sup>

ადაამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ განემარტა იცავს, თუ არა კონვენციის მე-2 მუხლი დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლებას და ჯდება თუ არა ორსულობის შეწყვეტა მისი მოქმედების ფარგლებში და არ მიიჩნია კონვენციის მე-2 მუხლთან შეუბამოდ საფრანგეთის კანონმდებლობა, რომელიც არ

<sup>85</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, Vo. v. France, პარ. 21.

<sup>86</sup> იქვე, პარ. 22.

<sup>87</sup> იქვე, პარ. 31.

<sup>88</sup> იქვე, პარ. 74.

<sup>89</sup> იქვე, პარ. 82.

აწესებდა პასუხისმგებლობას დაუბადებელი ბავშვის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის.<sup>90</sup>

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გარდა ექიმის წინაარმდეგ აღძრული სისხლის სამართალწარმოებისა, (რომელიც მოგვიანებით შეწყდა, რადგან არ იკვეთებოდა ექიმის მხრიდან ფეტუსის განზრახ დაზიანების მოტივი, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩანასახის სიცოცხლის მოსპობა არაა დასჯადი საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით) მომჩივანს შეეძლო აღედრა ადმინისტრაციული სამართალწარმოება საავადმყოფოს მიერ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, რაც შესაბამისობას იქნებოდა კონვენციის მე-2 მუხლთან.<sup>91</sup>

ევროპული სასამართლოს მხრიდან ტრადიციული თავშეკავება პრინციპულ საკითხებზე ცხადი პასუხების გაცემისაგან, ამლიერებს სამართლებრივი გაურკვევლობის ხარისხს ამ პრობლემის ირგვლივ წარმოშობილ სხვადასხვა საკითხსა და ასპექტთან მიმართებით, წინააღმდეგობრივს ხდის დასაბუთებას, დამაჯერებლობას აკლებს მიღებულ გადაწყვეტილებებს და საბოლოო ჯამში აშკარას ხდის ახლებური მიდგომებისა, თუ ინტერპრეტაციების აუცილებლობას.<sup>92</sup>

კონვენციის ნებისმიერი მუხლის დარღვევის აღიარება, თუ უარყოფა იმის დადასტურება ან უარყოფაა, რომ შესაბამისმა სახელმწიფომ დაარღვია, ან არ დაარღვია კონვენციით ნაკისრი ვალდებულება. შეუძლებელია სახელმწიფომ დაარღვიოს ან არ დაარღვიოს ის, რაც მის ვალდებულებას არ შეადგენს. ამიტომ თავისთავად კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის უარყოფის ფაქტი ლოგიკურად იმას გულისხმობს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი იცავს ფეტუსის სიცოცხლის უფლებას, რომელიც სახელმწიფოს არ დაურღვევია.<sup>93</sup>

---

<sup>90</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, Vo. v. France, პარ. 85.

<sup>91</sup> იქვე, პარ. 91.

<sup>92</sup> ე. გოცირიძე, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2007, 70.

<sup>93</sup> იქვე, 71.

### 3. ფეტუსის სიცოცხლის უფლება და საქართველოს კანონმდებლობა

#### 3.1. საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლით, ფეტუსის სიცოცხლის უფლებაზე ყოველგვარი მინიშნების გარეშე განმტკიცებულია, ადამიანის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეხებლობის დაცულობა, ასევე კონსტიტუციის მე-11 მუხლით უზრუნველყოფილია კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, ჩამოთვლილია დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლები, მათ შორის სქესის ნიშნით.

#### 3.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მართალია უფლებაუნარიანობა დაბადების მომენტიდან წარმოიშობა,<sup>94</sup> მაგრამ თანამედროვე სამართალი, რომის სამართლიდან მოყოლებული, აღიარებს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის – ჩანასახის შეზღუდულ უფლებაუნარიანობას. იგი შეზღუდული და პირობითი უფლებაუნარიანობის მქონეა.<sup>95</sup> შეზღუდულია უფლებაუნარიანობა იმიტომ, რომ იგი მხოლოდ „მემკვიდრედ ყოფნის უფლებას“ მოიცავს. პირობითია, იმიტომ, რომ ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე ამდენად, უფლება, როგორც ფასეულობა, ჩანასახის, როგორც სამართლის შეზღუდული უფლებაუნარიანობის მქონე სუბიექტის განმსაზღვრელია. რადგანაც ეს უფლება ჩასახვისთანავე ჩნდება, ამით ჩანასახი ხდება იმ კონკრეტული მემკვიდრეობითი ურთიერთობის სუბიექტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ჩასახვიდან დაბადებამდე დროის მონაკვეთში.<sup>96</sup> ჩანასახის უფლებაუნარიანობა მემკვიდრეობის უფლების გარდა, ზოგჯერ მოიცავს ზიანის ანაზღაურების უფლებასაც. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ზიანის მიმყენებლისათვის, იმ

<sup>94</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>95</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>96</sup> ბ. ზოიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ლ. ჭანტურია, თბილისი, 2017, 63.

პირების სასარგებლოდ, რომელთა რჩენაც დაზარებულს ევალეობდა.<sup>97</sup> სამართლებრივ ლიტერატურაში არსებული განმარტებით, ამ ნორმით გათვალისწინებულ სარჩენ პირებში, ასევე იგულისხმება ჯერ არდაბადებული, მაგრამ ჩასახულიც, რომლის რჩენაზეც გარდაცვლილი იქნებოდა პასუხისმგებელი მისი დაბადების შემთხვევაში<sup>98</sup>

### 3.3. ჯანმრთელობის დაცვისა და პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონი

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ პირებს შორის. აღნიშნული კანონის 136-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო, ასევე სახელმწიფო პრიორიტეტულ ამოცანად ისახავს ქალთა ჯანმრთელობის დაცვას აბორტების შემცირების გზით.<sup>99</sup> ამავე კანონის 139-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ სათანადო უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიცირებული ექიმის მიერ, თუ: ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას; ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მიზნით სამედიცინო ჩარევის განხორციელებამდე გასულია 5 დღიანი მოსაფიქრებელი ვადა. გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ორსულობის მე-12 კვირაზე მიმართვისას, როდესაც კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაფიქრებელი პერიოდის შემდეგ იჭურება ლეგალური აბორტის ვადა, რაც განაპირობებს სერვისის მიწოდების შეზღუდვას. ამ შემთხვევაში მოსაფიქრებელი პერიოდი შეიძლება შემცირდეს არანაკლებ სამ დღემდე.<sup>100</sup> გასაუბრების დროს უპირატესობა ენიჭება ნაყოფის

<sup>97</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>98</sup> ბ. ზოიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ლ. ჭანტურია, თბილისი, 2017, 64.

<sup>99</sup> “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 139-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>100</sup> “ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე”, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-74/ნ ბრძანება, დანართი N 1, მე-3 პუნქტი.

სიცოცხლის დაცვას. აბორტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ქალის პრეროგატივაა. ასევე აკრძალულია აბორტის რეკლამა,<sup>101</sup> ხოლო 140-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია, რომ 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება აღნიშნული სამართლებრივი ჩვენებების ჩამონათვალი, კერძოდ სამედიცინო ჩვენებით, 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ოპერაცია ნებადართულია ჩატარდეს ორსულობის 22 კვირამდე. 22 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში, როდესაც ორსულობის გაგრძელება საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს/ჯანმრთელობას, ან/და არსებობს ნაყოფის სიცოცხლისათვის შეუთავსებელი ანომალია, ორსულობის შეწყვეტის სამედიცინო ჩარევა შესაძლებელია განხორციელდეს ისეთ პერინატალური<sup>102</sup> სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<sup>103</sup> ამასთან აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულია 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის არასამედიცინო ჩვენებათა ჩამონათვალი, ესენია: ორსულობა გაუპატიურების შედეგად, რომელიც სასამართლოს მიერ არის დადგენილი; თუ ორსული ქალის ასაკი არ აწევს 15 წელს და ასევე განსაზღვრულია ზედა ასაკობრივი ზღვარი, როცა ქალი 49 წელს არის გადაცილებული,<sup>104</sup> ამასთან არასამედიცინო ჩვენებით ორსულობის შეწყვეტა უნდა განხორციელდეს მხოლოდ 22 კვირის ორსულობის ვადამდე,<sup>105</sup> ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს არასამედიცინო ხასიათის ჩვენებები ორსულობის შეწყვეტისათვის, რომლებიც ბრძანებით არ არის გათვალისწინებული, ორსულობის შეწყვეტის საკითხს

<sup>101</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 140-ე მუხლის მეორე პუნქტი.

<sup>102</sup> პერიოდი, ბავშვის დაბადებიდან 7 წლამდე, იწყება ჩასახვიდან 28 კვირის შემდეგ.

<sup>103</sup> “ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე”, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-74/ნ ბრძანება, დანართი N 4, პირველი პუნქტი.

<sup>104</sup> “ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე”, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-74/ნ ბრძანება, დანართი N 5.

<sup>105</sup> “ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე”, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-74/ნ ბრძანება, დანართი N 6, მე-2 პუნქტი.

განიხილავს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შექმნილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძნებით.<sup>106</sup>

გარდა ამისა, პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ორსულ ქალს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის და ნაყოფისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ, თუმცა ამავდროულად სახელმწიფო ავალდებულებს ქალს და უფლებას არ აძლევს უარი თქვას ისეთი სამედიცინო მომსახურების ჩატარებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ნაყოფის ცოცხლად დაბადებას და რომელიც მშობიარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მინიმალური რისკის მატარებელია,<sup>107</sup> რაც ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის ბერკეტად შეიძლება მივიჩნიოთ.

### 3.4. საქართველოს სისხლისამართლებრივი კანონმდებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცავს ადამიანის სიცოცხლეს მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე. პირველი ფაქტობრივი წინაპირობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ ხელყოფა მიმართული უნდა იყოს იმ ადამიანზე, რომელიც დაბადებულია, ამიტომ ბავშვის სიცოცხლე მკვლელობის ობიექტად შეიძლება იყოს მშობიარობის დაწყების მომენტიდან და არა მუცლად ყოფნის დროს. აქედან გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აბორტს, მკვლელობად არ განიხილავს,<sup>108</sup> მართალია კანონმდებელი ადგენს პასუხისმგებლობას უკანონო აბორტისათვის,<sup>109</sup> თუმცა იგი დასჯად ქმედებას წარმოადგენს, არა როგორც ფეტუსის (ჩანასახის) სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, არამედ როგორც დანაშაული, რომელიც საფრთხეში აგდებს ქალის ჯანმრთელობასა და

<sup>106</sup> “ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-74/ნ ბრძანება, დანართი N 6, მე-3 პუნქტი.

<sup>107</sup> „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>108</sup> მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, რედ. გ. მამულაშვილი, თბილისი, 2014, 25-26.

<sup>109</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სიცოცხლეს (სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტია ორსული ქალის ჯანმრთელობა და სიცოცხლე).<sup>110</sup>

## 4. გამოწვევები

როდესაც ვსაუბრობთ ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმ გამოწვევებზე, რომლებიც გვხვდება ქვეყნის მასშტაბით, ეროვნულ დონეზე; ისეთ გარემოებებზე, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობასა და არსებულ კულტურულ-მენტალურ დამოკიდებულებას ამა თუ იმ გარემოებების მიმართ; გენდერული ნიშნით სელექციური (შერჩევითი) აბორტების პრაქტიკასა და გამომწვევ მიზეზებს, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ ასეთი ფაქტობრივი წინაპირობების მსხვერპლი ხდება ფეტუსი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქრისტიანული ეკლესიის დამოკიდებულების შეფასება და განხილვა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, საზოგადოებაში მისი როლის, ნდობის ხარისხისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე.

### 4.1. ფეტუსის სიცოცხლე, როგორც საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის მსხვერპლი

„საზოგადოებრივი აზრი გავლენას ახდენს ყველა ჩვენგანზე თუმცა, როგორც მრავალწლიანი გამოცდილება აჩვენებს, საზოგადოება ამ დროს ორ ნაწილად იყოფა. ერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრის იგნორირების გამო მოსალოდნელი კრიტიკის მიუხედავად, მაინც იმას აკეთებენ რაც უნდათ და რისიც სჯერათ. მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ იმის გამო, რომ კრიტიკა აირიდონ, ჰიპოთეტური „საზოგადოებრივი აზრის“ ზეგავლენით თავის შეხედულებებსა და ქცევებს ცვლიან, ყოველ შემთხვევაში საზოგადოების დასანახად მაინც. შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და მისით მანიპულირება მძლავრი ინსტრუმენტია, თუ მთელი

---

<sup>110</sup> მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, რედ. გ. მამულაშვილი, თბილისი, 2014, 175.

საზოგადოების არა, მისი ერთი ნაწილის სამართავად, მისი აზროვნების, მისწრაფებებისა და ქცევების გარკვეულ კალაპოტში მოსაქცევად.<sup>111</sup>

„საქართველოში, ქართული მენტატილექტი და ტრადიციები გავლენას ახდენენ საზოგადოების შეხედულებებზე. არსებობს სხვადასხვა საკითხები, რომლებზე მსჯელობის დროსაც შესაძლოა, რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულებები გამოვლინდეს. ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც ქართულ საზოგადოებაში განსხვავებული რეზონანსი აქვს ყოველთვის, ეს არის ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენა.“<sup>112</sup> აქ ჩნდება დილემა სოციალური ნორმებისა, თუ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გამო. ქალის გადაწყვეტილება შესაძლოა არ იყოს კულტურისათვის მისაღები.<sup>113</sup>

სწორედ საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის მსხვერპლი ხდება ფეტუსი მაშინ, როცა ქალი ორსულდება ქორწინების გარეშე. ასეთ შემთხვევებში სიცოცხლის უფლება, ფეტუსთან მიმართებაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან ქალი, რომელიც მისი სიცოცხლის გარანტია წარმოადგენს საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის ობიექტს, ქალების ნაწილი კი იმდენად მძაფრად და ტრაგიკულად აღიქვამს ამ ფაქტს, რომ „ხალხი რას იტყვის?!“ ფრაზა იქცევა ხოლმე იმ იარაღად, რომლითაც ფეტუსის სიცოცხლე აბორტით მთავრდება.

ქალების გარკვეული კატეგორია, ხშირ შემთხვევაში, სოციალურ სტატუსს (დაქორწინებული/გათხოვილი) უქვემდებარებენ სიცოცხლეს, რომელიც ბევრად უზენაესი სამართლებრივი ღირებულებაა, თუმცა ფსიქოლოგიური წნეხი, ოჯახის „ღირსების შემარცხვენლის“ სტატუსი, რომელსაც საზოგადოება მიანიჭებს მას ზოგჯერ გადაწონის ხოლმე ამ ღირებულებას. ქორწინებას, ქალის გვერდით ქმრის/მუდმივი პარტნიორის ყოფნას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება იმდენად, რომ ამ ფაქტის არსებობაზეა დამოკიდებული ფეტუსის, როგორც მუცლად მყოფი ბავშვის

<sup>111</sup> ზ. ანჯაფარიძე, საზოგადოების აზრი საზოგადოების წინააღმდეგ?!, ჯი-ეიჩ-ენი, 12.05.12, „<http://www.ghn.ge/news/66325-sazogadoebis-azri-sazogadoebis-tsinaaghddeg>“, [17/05/2019].

<sup>112</sup> თ. კორკოტაშვილი, ხალხის დამოკიდებულება ქართველი ქალის მიმართ, რომელიც შვილს ქმრის გარეშე აჩენს, ამბები.GE, 09.09.15, „[www.mshoblebi.ge/kaleidoskopi/4560-khalkhis-damokidebuleba-qarthveligalis-mimarth-romelic-shvils-qmris-gareshe-achens.html?rnd=1541203711.9141](http://www.mshoblebi.ge/kaleidoskopi/4560-khalkhis-damokidebuleba-qarthveligalis-mimarth-romelic-shvils-qmris-gareshe-achens.html?rnd=1541203711.9141)“, [20/05/2019].

<sup>113</sup> გ. შელია, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა საქართველოში (შედარებითი მიმოხილვა), თბილისი, 2014,9.

დაბადების/სიცოცხლის საკითხი. ასეთ შემთხვევებში ფეტუსი იძენს უკანონო შვილის სტატუსს, რაც საზოგადოების მხრიდან მანიპულაციის მიზეზი ხდება მისი დაბადების შემდეგაც კი.<sup>114</sup>

საქართველოში „ხალხი რას იტყვის?!“ ფრაზა ხდება იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ქალი მზდაა ფეტუსის, როგორც ცოცხალი არსების სტატუსი დაუქვემდებაროს და მსხვერპლად შესწიროს- მზადაა გაიკეთოს აბორტი "სირცხვილის" ჩამოსარეცხად. რაც არის შედეგი იმ აგრესიისა რომელსაც იწვევს ქალის სექსუალური აქტივობა ქორწინების გარეშე.<sup>115</sup>

ქორწინების გარეშე ორსულობის შემთხვევაში, საქართველოში აბორტის გადაწყვეტილების მიღების მოტივი ხშირ შემთხვევაში არის სოციუმის შიში, რაც გულისხმობს იმას, რომ ქალს ემინია საზოგადოების უარყოფითი რეაქციების, იმის, რომ გარიყავენ ახლობლები და მეგობრები, გახდება მეზობლების დამცირების ობიექტი და ამასთან ერთად არის კიდევ მეორე უკიდურესობა მშობლების სახით- რა პასუხს გასცემს მშობლებს, რომლებსაც, კაცმა არ იცის, რა რეაქცია ექნებათ.<sup>116</sup>

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, როდესაც საქმე ეხება ქორწინების გარეშე არასასურველი ორსულობის შემთხვევებს, საგრძნობლად მცირდება იმ რესპოდენტთა წილი, ვინც თანატოლ გოგონას ურჩევდა ბავშვის გაჩენასა და აღზრდას, სამაგიეროდ მნიშვნელოვნად მატულობს იმ რესპოდენტთა რაოდენობა, ვინც ორსულობის შეწყვეტის (აბორტის), როგორც ქორწინებამდე არასასურველი ორსულობის გამოსავლის მომხრეა, ასევე საინტერესოა, რომ გამოკითხულთა იმ ნაწილშიც კი, ვინც აღნიშნა, რომ აბორტი

---

<sup>114</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში, საქმეზე მარქსი ბელგიის წინააღმდეგ ( Marckx v. Belgium ) აღნიშნავს, რომ როდესაც მარტოხელა ქალი თავის შვილზე იღებს პასუხისმგებლობას და ზრუნავს მასზე, ბავშვის დაბადების მომენტიდან მათი ეს ურთიერთობა აღიქმება როგორც ოჯახი.(პარ.31) ასევე განმარტავს, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მშობლების შვილები და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები თანაბრად სარგებლობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებით(პარ.40) და რომ უნდა დასრულდეს ე.წ უკანონო ბავშვების დისკრიმინაცია(პარ.41).

<sup>115</sup> მ. ამაშუკელი, ე. ჯაფარიძე, ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოს კონტექსტში, თბილისი, 2018,36.

<sup>116</sup> ა. დამენია, „აბორტის მოტივი – მშობლის გულგრილობა თუ სოციუმის შიში“ , training center for liberalism, 13.04.15, „<https://libcentri.wordpress.com/2015/04/13/abortion/>“, [17.05.19].

რელიგიურად ცოდვას, ყოვლი მეხუთე ქორწინებამდელი არასასურველი ორსულობის შეწყვეტის მომხრეა.<sup>117</sup>

„რეპროდუქციულ-სექსუალური ჯანმრთელობის სერვისებსა და სექსუალური განათლების საკითხებზე, მომუშავე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი საინტერესოდ აღნიშნავს, რომ ქალის ერთსა და იმავე ქცევის მიმართ საზოგადოებრივი დამოკიდებულება ქალის ასაკის მიხედვით ვარირებს, ვინაიდან რეპროდუქციული ფუნქციის შესრულებაში ქალის ბიოლოგიურ ასაკს კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, ქალის ასაკიც საზოგადოებრივი კონტროლის საგანია. მაგალითად, თუ 30 წლამდე ქორწინების გარეშე შვილის გაჩენა ქალის მხრიდან უღირს საქციელად აღიქმება, 30 წლის ზემოთ ქალს „უფლება ეძლევა“ ქორწინების გარეშე იყოლოს შვილი და ამ ფორმით მაინც ადასრულოს თავისი რეპროდუქციული მისია. უფრო მეტიც, ამ ასაკში ქალისთვის ქორწინების/მუდმივი პარტნიორის გარეშე შვილის გაჩენა ხშირად წახალისებულად კია.“<sup>118</sup>

„მუცლადმყოფ არასასურველ შვილს, ასევე ის ქალბატონები და მათი მეუღლეები იცილებენ, რომელთაც ეკონომიური მდგომარეობა შვილების ნორმალურ პირობებში გაზრდას და მათ განათლებას ვერ უზრუნველყოფს. სამწუხაროდ, არიან ისეთი წყვილებიც, რომლებიც შვილების გაჩენაზე მხოლოდ იმიტომ ამბობენ უარს, რომ ძალიან ახალგაზრდები არიან და ბევრი შვილი მათ წარმატებაში ხელს შეუშლით.“<sup>119</sup>

„საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის 2017 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ აბორტი ახალგაზრდა ქალების მიერ აღიქმება, როგორც ქორწინებისაგან თავის არიდების საშუალება, რადგან გაბატონებული ნორმები ქორწინებამდე კრძალავს

<sup>117</sup> მ. გეგეჭკორი, ი. კაჭკაჭიშვილი, გ. ნიჟარაძე, ნარკომანია, აივ/შიდსი, უსაფრთხო სექსი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა სტუდენტურ ფოკუსში, თბილისი, 2010.109-110.

<sup>118</sup> მ. ამაშუკელი, ე. ჯაფარიძე, ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოს კონტექსტში, თბილისი, 2018,12.

<sup>119</sup> ფ. წიკლაური, მუცლად მყოფი ბავშვის სტატუსის მინიჭება-ხალხის რეაქცია, 23.02.19 <http://www.gmtv.ge/55358-2/>, [17/05/2019].

როგორც სექსს, ასევე ბავშვის ყოლას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ აბორტი ტარდება „სარდაფებში” და რომ მათი რიცხვის დადგენა შეუძლებელია.<sup>120</sup>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით 2015 წელს 15 წლამდე არასრულწლოვნებში აბორტის ცხრა შემთხვევა დაფიქსირდა, ეს მონაცემები 2016 წელს 19-მდე გაიზარდა, ხოლო 2017 წელს მხოლოდ ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია 2013 წელს, როდესაც აბორტების რიცხვი 34-მდე გაიზარდა. რაც შეეხება 15წ-დან 19-წლამდე მოზარდებს, ეს მაჩვენებლები ბევრად უფრო მაღალია, 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით პერიოდში აბორტების რიცხვი 1600-დან 1800-მდე მერყეობდა და საბოლოოდ ჯამში ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად აბორტების საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 1785.6-ს მიაღწია. 2015 წელს ამ ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა 1335 აბორტის შემთხვევა, 2016 წელს- 932, ხოლო 2017 წლის მონაცემებით- 596.<sup>121</sup>

არასრულწლოვნებში აბორტის მაღალი მაჩვენებლის არსებობა, უშუალოდ კავშირშია არსებულ სოციალურ გარემოსთან და არასწორად გატარებულ პოლიტიკასთან. ექსპერტები, აბორტის გაახალგაზრდავების ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევენ სექსუალური ცხოვრების შესახებ არასაკმარის ინფორმაციას, სწორი, ობიექტური, ჯანმრთელი ინფორმირებულობის ნაკლებობას. ინფორმაცია, თუ რას იწვევს სქესობრივი კავშირი და როგორ შეიძლება არასასურველი ორსულობისგან თავის არიდება საქართველოში არ ვრცელდება, განსაკუთრებით მოზარდებში,<sup>122</sup> რადგან დამკვიდრებული სტერეოტიპებით „კონტრაცეფციაზე ინფორმირებულობა მხოლოდ „კანონიერ ოჯახს“ სჭირდება, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი ასეთი ინფორმაციის გავრცელება სექსის პროპაგანაა და რყვნის ახალგაზრდა, გასათხოვარ ქართველ ქალებს.“<sup>123</sup>

<sup>120</sup> ლ. შენგელია ლ. სტურუა, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში, თბილისი, 2017, 56.

<sup>121</sup> იხილეთ დანართი N 1.

<sup>122</sup> ნ.ჭელიძე, აბორტის პრობლემა არასრულწლოვნებში, გურია NEWS, 28.02.15, <http://www.gurianews.com/article/mtavari/sazogadoeba/25453>, [18/05/2019].

<sup>123</sup> მ. ამაშუკელი, ე. ჯაფარიძე, ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოს კონტექსტში, თბილისი, 2018, 36.

„ხშირ შემთხვევაში ბევრი არასრულწლოვანი მიმართავს არალეგალურ აბორტსაც მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახის წევრებმა არ გაიგონ და ეს არ გახდეს მათი ოჯახიდან გარიყვის მიზეზი თუმცა, არსებობენ მშობლები, რომლებიც თავად აიძულებენ არასრულწლოვნებს, აბორტის გაკეთებას“ და „უკანონო შვილის“ გაქრობით „ოჯახის ღირსების“ გადარჩენას.<sup>124</sup>

„პრობლემაა, როდესაც ეს ყველაფერი ვიცით საიდან მოდის და მიუხედავად ამისა, საზოგადოება კატეგორიული წინააღმდეგია ახალგაზრდებისთვის სქესობრივი განათლების მიცემის. თვით ტერმინი „სქესობრივი განათლება“ მიუღებელია ქართული საზოგადოებისთვის. კითხვაზე, უნდა იღებდნენ თუ არა სკოლებში სქესობრივ განათლებას ბევრს აქვს ასეთი პასუხი – რა საჭიროა, დრო, რომ მოვა ყველაფერს გაიგებენ. სწორედ აქ არის პრობლემა, შემდეგ წარმოქმნილ პრობლემებს „თვითგაგება“ იწვევს.“<sup>125</sup>

„სკოლებში „სქესობრივი განათლების“ დანერგვის საკითხს, როგორც საზოგადოების, ისე პროფესიონალების და განათლების სამინისტროს თანამშრომლების მხრიდანაც კი დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა და ხვდება. სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა მოზარდების ადრეულ სექსუალურ კონტაქტებზე პირდაპირ წახალისებად, თავს მოხვეულ ევროპულ ღირებულებად აღიქმება, რომელიც ქართველ მოზარდებს ზნეობრივ საფრთხეს უქმნის. „სქესობრივი განათლების“ გარდა ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი განათლება, რომელიც პიროვნული ზრდის და გაძლიერების საწინდარია და საშუალებას იძლევა, რომ ინდივიდმა ინფორმირებული, გაცნობიერებული არჩევანი გააკეთოს, თავად იყოს საკუთარ თავსა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი, სწორად შეაფასოს საზოგადოებაში გამყარებული ნორმები და საჭიროების შემთხვევაში გაემიჯნოს კიდევ ამ ნორმებს.“<sup>126</sup>

<sup>124</sup> ა. არაბული, „ოსკარი“ მარტოხელა დედებს, matstsavleblebi.ge, 05.03.14, <http://matsavleblebi.ge/?p=3142>, [20/05/2019].

<sup>125</sup> ა. დამენია, „აბორტის მოტივი – მშობლის გულგრილობა თუ სოციუმის შიში“, training center for liberalism, 13.04.15, <https://libcentri.wordpress.com/2015/04/13/abortion/>, [17.06.19].

<sup>126</sup> მ. ამამუკელი, ე. ჯაფარიძე, ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოს კონტექსტში, თბილისი, 2018,37.

„რეალურად არაერთი თვალსაჩინოება არსებობს, რომ ყოვლისმომცველ სექსუალურ განათლებას პოზიტიური გავლენა აქვს სექსუალურ-რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, მათ შორის განსაკუთრებით არასასურველი ორსულობებისა და აბორტების შემცირების კუთხით. საერთაშორისო სტატისტიკაზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება არ ისახავს მიზნად მოზარდებში სექსუალური აქტივობის წახალისებას და არც შედეგია მისი. რეალურად, ხდება სწორედ უსაფრთხო სექსუალური ქცევის და თავდაცვის საშუალებების გამოყენების მაჩვენებლების ზრდა. გარდა ამისა ერთ-ერთი შედეგი მოზარდებში სექსუალური აქტივობის დაწყების გადავადებაა, რასაც მოზარდებში საჭირო ცოდნის მიწოდება, პასუხისმგებლობის გაცნობიერება, თავდაჯერებულობის, საკუთარი პოზიციის გაძლიერება და გენდერული, თუ სოციალური ნორმების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების ფორმირება განაპირობებს.“<sup>127</sup>

ქვეყნების ძალისხმევით მიუხედავად, რომელიც მიმართულია აბორტის მაჩვენებლის შემცირებისაკენ, არცერთ ქვეყანაში არ უტლოდება ის ნულს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ადამიანებს არ მიუწვდებათ ხელი კონტრაცეპტივებზე და/ან არ აქვთ საკმარისი, ადეკვატური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ კონტრაცეპტივები ეფექტურად. მეორე მიზეზია ის, რომ არცერთი კონტრაცეპტივი არაა 100 პროცენტით ეფექტური. მესამე მიზეზი შეიძლება იყოს ქალების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა. და ბოლოს, როდესაც ქალისათვის ორსულობა იწყება როგორც „სასურველი“, თუმცა გარკვეული გარემოებების გამო, ხდება „არასასურველი“ ამის მიზეზი შეიძლება იყოს განქორწინება, ან ეკონომიკური კრიზისი. დადგენილია, რომ მაშინაც კი, თუ მოხდება კონტრაცეპტივების ეფექტურად გამოყენება, მსოფლიოს გარშემო მაინც იქნება ექვსი მილიონი არასასურველი ორსულობა.<sup>128</sup>

<sup>127</sup> მ. ამაშუკელი, ე. ჯაფარიძე, ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოს კონტექსტში, თბილისი, 2018, 37-38.

<sup>128</sup> გ. შელია, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა საქართველოში (შედარებითი მიმოხილვა), თბილისი, 2014, 7.

## 4.2. სელექციური აბორტი

ტერმინი „გენდერული სელექცია“ (სელექციური აბორტი) უკავშირდება სქესის გამო ორსულობის შეწყვეტას და ნაყოფის მოცილებას გულისხმობს, რაც ძირითადად აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიურ ქვეყნებში და მათ შორის კავკასიაშიცაა გავრცელებული.<sup>129</sup> „სქესის შერჩევა შეიძლება განხორციელდეს როგორც ჩასახვამდე, ასევე მუცლად ყოფნის პერიოდში ნაყოფის სქესის დადგენით და სელექციური აბორტით, ან ორსულობის შემდეგ ახალშობილის ზრუნვაზე უარის თქმით/მიტოვებით. ხშირად, ეს პრაქტიკა მდედრობითი სქესის ნაყოფის მოცილებას გულისხმობს, რაც ვაჭიშვილის ყოლისათვის უპირატესობის მნიშვნელობა გამომდინარეობს.“<sup>130</sup> „1980-იან წლებში სქესის პრენატალური დიაგნოსტიკის<sup>131</sup> (ამნიოცენტეზისა და ულტრაბგერითი ექოგრაფიის მეშვეობით) განვითარების შედეგად, შესაძლებელი გახდა ბავშვის სქესის დადგენა ორსულობის მე-12-მე-14 კვირებში. აზიაში მილიონობით ოჯახმა ისარგებლა ტექნიკური პროგრესის ამ მიღწევებით არასასურველი მდედრობითი სქესის ნაყოფის მოსაცილებლად. დღეს უკვე გაჩნდა ისეთი ახალი მეთოდები, როგორცაა ემბრიონის სისხლის ანალიზი, რომელიც შესაძლებელს ხდის ნაყოფის სქესის წინასწარ დადგენას ორსულობის რვა კვირაზე ნაკლებ ვადაში“.<sup>132</sup>

„მსოფლიოში დაფიქსირებულ, ქალების დემოგრაფიული დეფიციტის გამომწვევ ძირითად ფაქტორებს შორის არის შერჩევითი აბორტი მდედრობითი სქესის ნაყოფზე ორსულობის შეწყვეტის მიზნით. 1990-იან წლებში, სტატისტიკოსებმა დააფიქსირეს ის ფაქტი, რომ ვაჭები გოგონებთან შედარებით ჭარბი რაოდენობით იბადებოდნენ ჩინეთში, ინდოეთსა და სამხრეთ კორეაში, რაც უკავშირდებოდა მდედრობითი სქესის ნაყოფის შემთხვევაში ორსულობის შეწყვეტის საკმაოდ გავრცელებულ პრაქტიკას. პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის პრაქტიკა საკმაოდ სწრაფად გავრცელდა და საბოლოო ჯამში მსოფლიოს მოსახლეობაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის

<sup>129</sup> ე. დარბაიძე, სელექციური აბორტი, როგორც გენდერული საქართველოში, სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა (სამეცნიერო შრომების კრებული), რედ-ები: რ. გაჩეჩილაძე, თ. დოღბაია, ვ. კაკაჩია, რ. ჯორბენაძე, მ. შამილიშვილი, თბილისი, 2018,7.

<sup>130</sup> გაეროს მოსახლეობის ფონდის (unepa) საქართველოს ოფისი, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და ექიმების როლი ამ პრაქტიკის პრევენციაში, გვ4.

<sup>131</sup> ნაყოფის დაბადებამდე დიაგნოსტიკა.

<sup>132</sup> ვ. გილმოტო, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში, თბილისი, 2015,16.

დარღვევის ძირითად გამომწვევ ფაქტორად იქცა. ვინაიდან შეუძლებელია გენდერული ნიშნით აბორტების რაოდენობის პირდაპირი წესით განსაზღვრა, ის ფაქტი, რომ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი დადგენილ ბიოლოგიურ ნორმას აჭარბებს, აშკარად მეტყველებს აღნიშნული პრაქტიკის ფართოდ გავრცელებაზე. სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკა დამკვიდრდა 1980-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ამნიოცენტეზისა და შემდგომ უკვე ულტრაბგერითი გამოკვლევის წყალობით მშობლებს საშუალება მიეცათ წინასწარ შეეტყუთ ნაყოფის სქესი. იმ ქვეყნებში, სადაც აბორტი მარტივად ხელმისაწვდომი იყო, სულ უფრო მეტ მშობელს ეძლეოდა შესაძლებლობა შეეწყვიტა ორსულობა მათთვის არასასურველი სქესის ნაყოფის შემთხვევაში. თანამედროვე მეთოდები, როგორცაა ემბრიონის სისხლის ანალიზი და იმპლანტაციამდელი გენეტიკური დიაგნოსტიკა საშუალებას აძლევს მშობლებს ჩაერიონ ორსულობამდე ან ორსულობის პროცესში.<sup>133</sup>

„ბიოლოგიური ფაქტორებით განპირობებული სქესთა შორის ბალანსის მიხედვით ყოველ 105 ვაჟზე 100 გოგონა იბადება. სხვადასხვა ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 103-დან 106- მდე მერყეობს. იმ ქვეყნებში კი, სადაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკა არსებობს, მაჩვენებელი აღნიშნულ ნორმალურ ზღვარს აღემატება. საქართველოც ამ ქვეყნების სიაშია.“<sup>134</sup>

„საქართველოში ნაყოფის სქესის განსაზღვრის ხელმისაწვდომი და გავრცელებული მეთოდი ულტრასონოგრაფიაა. ლიტერატურული მონაცემების თანახმად გენიტალიების პირველი მორფოლოგიური განმასხვავებელი ნიშნები გესტაციის<sup>135</sup> მე-7 კვირას იწყებენ დიფერენციაციას; მათი ამოცნობა მე-11 კვირიდანაა შესაძლებელი, ხოლო საბოლოო მორფოლოგიურ კონფიგურაციას ისინი მეცამეტე კვირას იძენენ. ამიტომ ულტრაბგერითი მეთოდი გესტაციის მე-11 კვირამდე გამოუსადეგარია. იგი მხოლოდ მე-14 კვირიდან იძენს პრაქტიკულ მაგრამ არა აბსოლუტურ დიაგნოსტიკურ

<sup>133</sup> ქ. გილმოტო, ს. ტარუფო, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში, რედ. თ. მაისურაძე, თბილისი, 2017,5-6.

<sup>134</sup> გაეროს მოსახლეობის ფონდის (unepa) საქართველოს ოფისი „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და ექიმების როლი ამ პრაქტიკის პრევენციაში“, გვ 5.

<sup>135</sup> ორსულობის პერიოდი ბავშვის ჩასახვიდან ჩამოყალიბებამდე.

ღირებულებას. უფრო დამაჯერებელი მსჯელობა ნაყოფის სქესის შესახებ მე-16 კვირიდანაა შესაძლებელი.<sup>136</sup>

სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ - 1990 წლიდან გამოვლინდა და შემდგომი 10-15 წლის განმავლობაში ამ პრაქტიკის შედეგად დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობის დარღვევა ვაჟების სიჭარბის ხარჯზე ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2004 წელს სქესთა შორის დარღვეულმა თანაფარდობამ მაქსიმალურ მაჩვენებლს - 115-ს მიაღწია; 2009 წელს კი, პირველად 1990 წლის შემდეგ, ის ყველაზე დაბალ ნიშნულს - 110-ს გაუტოლდა და 2018 წლის მონაცემების ჩათვლით ეს მაჩვენებელი აღარ გაზრდილა. 2016 წელს დაფიქსირებულია სქესთა თანაფარდობის ნორმალური მაჩვენებელი (104.4), ბოლო ორი წლის განმავლობაში კი ეს მაჩვენებელი 108-მდე გაიზარდა.<sup>137</sup> არსებული მონაცემების მიხედვით, 2010-2018 წლებში საქართველოში დაბადებულ ყოველ 100 გოგონაზე საშუალოდ 108 ვაჟი იბადება, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კი ეს მაჩვენებელი 113-ს უახლოვდება. დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობის მაჩვენებელი ბევრად იზრდება შვილოსნობათა რაოდენობის პროპორციულად. მაგალითად, თუ პირველი ორი შვილი მდედრობითი სქესისაა, მესამე შვილის შემთხვევაში, სქესთა შორის თანაფარდობის მაჩვენებელი 127-საც კი აღწევს. საქართველოში, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ოჯახში მამრობითი სქესის შვილის არარსებობის შემთხვევაში, შობადობის მაჩვენებელი, საშუალოდ, 2.2-ჯერ მაღალია. ეს შეესაბამება ფერტილობის<sup>138</sup> სტანდარტულ სტრატეგიას, როდესაც მშობლები ჯერ შვილების სასურველ რაოდენობას იყოლიებენ მათი სქესის მიუხედავად, ხოლო მამრობითი სქესის შვილის არარსებობის შემთხვევაში, მესამე შვილს ვაჟიშვილის ყოლის მიზნით აჩენენ.<sup>139</sup>

<sup>136</sup> რეპროდუქციული უფლებები და მათი რეალიზაციის გარანტიები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 2015, 17-18.

<sup>137</sup> იხილეთ დანართი N 2.

<sup>138</sup> ბავშვის ყოლის მსურველი წყვილის ორგანიზმების ჩასახვისთვის მზაობა.

<sup>139</sup> გაეროს მოსახლეობის ფონდის (unepa) საქართველოს ოფისი „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და ექიმების როლი ამ პრაქტიკის პრევენციაში“ გვ 5.

„ოჯახების გენდერული შემადგენლობა უკვე დიდი ხანია რეპროდუქციული სტრატეგიის განმსაზღვრელია ქვეყანაში და მთავარი მიზანია სულ მცირე ერთი ვაჟიშვილის ყოლა.“<sup>140</sup>

ქართულ საზოგადოებაში ფარული უპირატესობა ყოველთვის ვაჟებს ენიჭებოდა, რაც ხშირად განპირობებულია მამაკაცი მემკვიდრის საჭიროებით. ქვეყანაში გაბატონებულ პატრილინეარულ სისტემას<sup>141</sup> მჭიდროდ უკავშირდება ვაჟიშვილის ყოლის დაჟინებული სურვილი,<sup>142</sup> „ქართულ საზოგადოებაში, ოჯახები ვაჟებით ჯერ კიდევ უფრო ამყობენ, ვიდრე გოგონებით და ოჯახი, რომელსაც ვაჟი ჰყავს უფრო სრულყოფილად მიიჩნევა.“<sup>143</sup>

„ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვაჟიშვილის ფარული მოთხოვნების დაკმაყოფილებას წყვილები ახერხებდნენ შობადობის მოქნილი რეჟიმის მეშვეობით, როდესაც შვილებს ვაჟის შეძენამდე აჩენდნენ. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შობადობის დონე ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა (1.5 ბავშვი ერთ ქალზე). ამას, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა ისიც, რომ სულ უფრო მეტმა წყვილმა დაიწყო შობადობის კონტროლის საშუალებების და მათ შორის აბორტის გამოყენება, რომელიც არასასურველი ბავშვის მოცილების ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან. გარდამავალი პერიოდის დაწყებამ დააჩქარა კლინიკებისა და საავადმყოფოების მოდერნიზების პროცესი და 1991 წლიდან თანამედროვე ტექნიკის საზღვარგარეთიდან შემოტანამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყანაში რეპროდუქციული მომსახურების ხარისხი. კერძოდ, სქესის პრენატალური დიაგნოსტიკა ჩვეულებრივ პროცედურად იქცა, რომელსაც კერძო სამედიცინო დაწესებულებები ორსულ დედებს სთავაზობდნენ. ქვეყნის ისტორიაში პირველად ულტრაბგერითი გამოკვლევისა და აბორტის ხელმისაწვდომობამ შესაძლებელი გახადა სქესის პრენატალური შერჩევა და

---

<sup>140</sup> კ. გილმოტო, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში, თბილისი, 2015, 67.

<sup>141</sup> სისხლით ნათესაობის ზოგადი სისტემა, რომელშიც ადამიანის ოჯახის წევრობა მამის ხაზით განისაზღვრება, რაც გულისხმობს ქონების, უფლებების, გვარისა და წოდების მემკვიდრეობით გადაცემას მამის ხაზით.

<sup>142</sup> კ. გილმოტო, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში, თბილისი, 2015, 10.

<sup>143</sup> ქ. გილმოტო, ს. ტარუფო, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში, თარგმანი მ. გვიტაძე, რედ. თ. მასურაძე, თბილისი, 2017, 82.

საქართველოში წყვილებს თავიანთი ოჯახების ზომის შემცირებისა და გენდერული შემადგენლობის შერჩევის შესაძლებლობა მისცა.“<sup>144</sup>

ვაჟის ყოლის აუცილებლობა საქართველოში საზოგადოების მხრიდან სხვადასხვა ფაქტორით აიხსენება: ბიჭი ოჯახის შექმნის შემდეგ რჩება ოჯახში, ფინანსურად მხარს უჭერს მოხუც მშობლებს და ზრუნავს მათზე, გვარის და ოჯახის ღირებულებების გამგრძელებელია, წარმოადგენს ოჯახის სიამაყესა და პატრიოტულ ღირსებას. ჩამოთვლილი მიზეზები, რომლებიც ვაჟის უპირატესობას განსაზღვრავენ, აისახება როგორც წყვილების რეპროდუქციულ ქცევასა და გადაწყვეტილებებზე, ასევე მშობლების მიერ მემკვიდრეობის გადაცემის გადაწყვეტილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ შვილებს, სქესის განურჩევლად, თანასწორი უფლება აქვთ მშობლების ქონებაზე, ტრადიციული ასპექტები იმდენად ძლიერია, რომ მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი ვაჟს გადაეცემა. რა თქმა უნდა, ტრადიციები და კულტურული ფაქტორები ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს, თუმცა საზოგადოებრივი ღირებულებები ქვეყნის და მოსახლეობის წინსვლას უნდა უწყობდეს ხელს.<sup>145</sup>

„ქალისა და კაცის როლისა და მოვალეობების შესახებ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც მათ სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე, ასევე მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე. ტრადიციულ და კულტურულ ასპექტებზე დაფუძნებული ვაჟის ყოლის აუცილებლობის განწყობა ხშირად გამოიხატება ქალების მიმართ გაზრდილი სოციალური წნეხით - იყოლიონ ვაჟი და ამისათვის მიმართონ აბორტს/ებს, მანამ, სანამ ვაჟს არ გააჩენენ. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟის ყოლის მძაფრი სურვილი უმეტესწილად მამაკაცების მხრიდან აღინიშნება, ქალები ხშირად თვლიან, რომ ოჯახისთვის ვაჟის გაჩენა მათი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესასრულებლად განმეორებითი სელექციურ აბორტების გაკეთების გადაწყვეტილებასაც კი იღებენ. სამწუხაროდ, ქალის გადაწყვეტილება, გაიკეთოს აბორტი სქესის სელექციის მიზნით ხშირად ქმრის ან ოჯახის სურვილიდან

<sup>144</sup> ვ. გილმოტო, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში, თბილისი, 2015, 10-11.

<sup>145</sup> გაეროს მოსახლეობის ფონდის (unepa) საქართველოს ოფისი “გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და ექიმების როლი ამ პრაქტიკის პრევენციაში“, გვ 7.

გამომდინარეობს, ან იმიტომ, რომ თავად სჯერა, რომ ვაჟის გაჩენა მისი ვალია ოჯახის წინაშე, ასეთი დამოკიდებულება კი ქმნის სქესის ნიშნით დისკრიმინაციის<sup>146</sup> საფუძველს“;<sup>147</sup>რაც თავის მხრივ საფთხის ქვეშ აყენებს ფეტუსის სიცოცხლის უფლებას. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული და უზრუნველყოფილი ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორცაა სიცოცხლის უფლება<sup>148</sup> და კანონის წინშე ყველას თანასწორობა.<sup>149</sup>

გენდერულ სელექციასთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის №01-74/ნ ბრძანება „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“, რომლის პირველი დანართის მე-14 მუხლის მიხედვით, დაუშვებელია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდრეობითი დაავადების თავიდან აცილება. „ეს ბრძანება საქართველოში მოქმედ ექიმებს გენდერული ნიშნით ნაყოფის მოცილების პრევენციის პასუხისმგებლობას ანიჭებს.“<sup>150</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ჩინეთის მაგალითი: „მრავალწლიანი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად რომელიც მხოლოდ ერთი შვილის ყოლის უფლებას ანიჭებდა ოჯახს, სქესთა შორის დისბალანსმა სახიფათო მაჩვენებელს მიაღწია. 2005 წლის მონაცემებით, 20 წელს ქვემოთ ასაკის მამაკაცი 32 მილიონით მეტი იყო, ვიდრე ქალი, სწორედ ამიტომ, სელექციური აბორტი ჩინეთში ოფიციალურად აიკრძალა. ჩინეთში პარალელურად დაიწყო კამპანია „გავუფრთხილდეთ გოგონებს“, რომელმაც შედეგი გამოიღო და თუ 2005 წელს 120 ბიჭი 100 გოგონას ეფარდებოდა, 2011 წელს ეს მონაცემები 113-დე დაეცა.“<sup>151</sup>

<sup>146</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>147</sup> გაეროს მოსახლეობის ფონდის (unepa) საქართველოს ოფისი „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და ექიმების როლი ამ პრაქტიკის პრევენციაში“, გვ.11.

<sup>148</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლი.

<sup>149</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი.

<sup>150</sup> გაეროს მოსახლეობის ფონდის (unepa) საქართველოს ოფისი „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და ექიმების როლი ამ პრაქტიკის პრევენციაში“ გვ.13.

<sup>151</sup> ე. დარბაიძე, სელექციური აბორტი, როგორც გენდერული საქართველოში//სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა (სამეცნიერო შრომების კრებული), რედ-ები: რ. გაჩეჩილაძე, თ. დოლბაია, კ. კაკაჩია, რ. ჯორბენაძე, მ. შამილიშვილი, თბილისი, 2018, 16.

„ქვეყნების უმეტესობაში დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაღალი მაჩვენებლის დადასტურებას დიდი დრო მიაქვს და ბევრი დემოგრაფი და სხვა სოციოლოგები ამტკიცებდნენ, რომ დაბადებული ვაჟების წილის მატება სინამდვილეში არ არსებობდა ან, რომ იგი დისკრიმინაციული ქცევით იყო გამოწვეული. ამგვარი ხელოვნურად გაზრდილი სქესთა თანაფარდობის დასაბუთებისთვის შემდეგი არგუმენტები მოჰყავდათ: მონაცემთა უკმარისობა, ნაკლები მონაცემები, დაბადებისას სქესთა უფრო მაღალი ბიოლოგიური თანაფარდობა, ეპიდემიების შედეგები, ნაყოფის სიკვდილიანობის შედეგები, გოგონების არასრული რეგისტრაცია, სქესის ნიშნით განსხვავება ასაკის არასწორად მითითების შემთხვევებში, ჩვილთა მოკვდინებით გამოწვეული უხერხულობა, უცხოური პროპაგანდა და სტრესისა და ადგილობრივი პირობების ზეგავლენა ვაჟების მაღალ შობადობაზე. როგორც ჩამონათვალი გვიჩვენებს, არსებობს მრავალი არგუმენტი, რომელიც შეიძლება მოვიყვანოთ იმისათვის, რომ ექვქვემ დავაყენოთ სქესის პრენატალური შერჩევის პრაქტიკის არსებობა. ამ მიზეზით აიხსნება ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში ათ წელზე მეტი დრო დასჭირდა დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის რეალურად არსებობის დამტკიცებას. გამართლებული ექვის გარდა, რომელიც არასრული სტატისტიკური მონაცემების გამო წარმოიშვება, სქესის შერჩევის პრაქტიკის უარყოფის ფარული მიზეზი ხშირად დაკავშირებულია არდაბადებული გოგონების მიმართ დისკრიმინაციის გააზრებით გამოწვეულ სირცხვილის გრძნობასთან. ვინაიდან სქესის შერჩევის საკითხი დაკავშირებულია გენდერთან და ინტიმურ სფეროსთან, ის შეიძლება ძალზე სენსიტიური და პოლიტიზებული იყოს.“<sup>152</sup>

„ქვეყანაში სქესის პრენატალური შერჩევის შემთხვევათა სწრაფი ზრდის მიუხედავად, არ ხდება ამ მოვლენის გაშუქება ან ამ საკითხის განხილვა იმ ოჯახებში, რომლებსაც ვაჟიშვილი სურთ. საქართველოში პრაქტიკულად არ ხდება პრესაში ბავშვების დაბადებისას სქესთა შორის დარღვეული ბალანსის შესახებ ინფორმაციის გაშუქება და არ ტარდება სამეცნიერო კვლევები. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშის გამოქვეყნებამდე (2011 წელი), შეიძლება ითქვას, რომ პრესაში საერთოდ არ გაშუქებულა ინფორმაცია სქესის შერჩევის მიზნით აბორტების შესახებ. ამ

<sup>152</sup> კ. გილოტო, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში, თბილისი, 2015, 19.

საკითხით არ ინტერესდებოდა არც ტელევიზია, რადიო თუ სხვა მედია. ჩვეულებრივ, ამ მოვლენაზე საუბრისას ბრალს სდებენ მონაცემების არასარწმუნო ხასიათს და სამეცნიერო ინფორმაციის უქონლობას. არსებული ინფორმაციის მიხედვით, დაბადების რეგისტრაციის არასათანადო ხარისხმა გარკვეულწილად დაფარა ბავშვების დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდის საკითხი. ამ თვალსაზრისით საქართველო არ განსხვავდება სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისგან, რომლებშიც გარდამავალ წლებში სახელმწიფოს არ გააჩნდა შესაბამისი დონის შესაძლებლობები დემოგრაფიული მონაცემების შეგროვების, გამოქვეყნებისა და გაანალიზებისთვის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟების შობადობის ზრდა მოულოდნელი იყო და ამ მოვლენას განიხილავენ „მდედრობითი სქესის ბავშვების გაქრობის ამოუხსნელ საიდუმლოდ.“<sup>153</sup>

„2011 წლამდე საზოგადოებისათვის საერთოდ არ იყო ცნობილი დიდი რაოდენობით დაუბადებელი გოგონების შესახებ, ასევე იმის შესახებ, რომ ეს ფაქტი შეიძლება დაკავშირებული იყოს სქესის შერჩევის მიზნით აბორტების გაკეთებასთან. 2014 წელს ეს საკითხი ყურადღების ცენტრში მოექცა ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგენკოს და მისი მოადგილის მარიამ ჯაშის მხრიდან დაინტერესების გამო. გაიმართა საჯარო დისკუსიები სქესის შერჩევის მიზნით აბორტების საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი არსებითი მტკიცებულებები თუ დოკუმენტაცია არ არსებობდა.“<sup>154</sup>

„საზოგადოების ინფორმირებულობა სქესთა პრენატალური შერჩევის შესახებ ქვეყანაში შეზღუდულია. პრესაში ამ თემაზე მწირი ინფორმაციაა და საკითხის ფუნდამენტური კვლევის არარსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სისუსტეს. პოლიტიკის დონეზე სახელმწიფო სტრუქტურების ჩაურთველობა და რელიგიური და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მეშვეობით საჯარო დებატების არარსებობა ნაწილობრივ ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ არის ცნობილი ამ მოვლენის მასშტაბის და სიხშირის შესახებ მხოლოდ რამდენიმე გამოკითხული ექსპერტისათვის და რატომ ფიქრობს ზოგიერთი, რომ ეს მოვლენა საერთოდ არ არსებობს. რეალობაში,

<sup>153</sup> კ. გილმოტო, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში, თბილისი, 2015, 80.

<sup>154</sup> იქვე, 81.

მათი ინფორმაციის წყაროები ეფუძნება პირად და ახლობელთა ოჯახების გამოცდილებას ან პროფესიულ იურიდიულ და სამედიცინო პრაქტიკას. მაგრამ ამგვარად მიღებული ინფორმაცია იშვიათად იძლევა იმის საშუალებას, რომ ნათლად წარმოაჩინოს, თუ რამდენად გავრცელებულია სქესის შერჩევა საქართველოში. ზემოაღნიშნული მდგომარეობა ძირითადად ხსნის, თუ რატომ რჩება ეს მოვლენა, რომელიც კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის ან, სულ მცირე, მდებდრობითი სქესის მოსახლეობის ნაწილისთვის, სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დიდი ხნის განმავლობაში.<sup>155</sup>

### 4.3. ქრისტიანული რელიგია და ფეტუსის სიცოცხლის უფლება

„ინტუიციურად არასწორია ხელოვნური აბორტი, რამეთუ ეს ნიშნავს საკუთარი სურვილით ორსულობის შეწყვეტას, მანამ სანამ ნაყოფი გახდება სიცოცხლისუნარიანი. მსოფლიოს გარშემო სხვადასხვა რელიგიები მიიჩნევენ აბორტს, როგორც ამორალურ ქცევას, რამეთუ ის სპობს სიცოცხლეს და ჩანასახს, მაშინ როდესაც ძლიერმა უნდა დაიცვას სუსტი.“<sup>156</sup>

ქრისტიანული სარწმუნოება სიცოცხლის დასაწყისად ნაყოფის ჩასახვის მომენტს მიიჩნევს და ზიგოტას<sup>157</sup> განვითარების დონის მიხედვით არ ანიჭებს მას ადამიანის სტატუსს, იგი განიხილავს ემბრიონს, როგორც დამოუკიდებელ პიროვნებას, ამის მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ძველი აღთქმიდან ამონარიდები სადაც ჩანასახი, როგორც სრულყოფილი არსება ისე განიხილება: „ვიდრე მუცელში გამოგსახავდი, გამოგარჩიე; ვიდრე საშოდან გამოხვიდოდი წმიდა გყავი, ხალხების ქადაგად დაგადგინე“- (იერ. 1:5); „უფალმა მუცლიდან მომიწოდა, დედის წიაღიდან ახსენა ჩემი სახელი“- (ეს. 49:1,5); „რატომ არ მოგკვდი დედის მუცელშივე? რატომ არ გავთავდი გამოსვლისთანავე?.. რატომ არ ვარ მკვდრადნაშობივით გადამალული, ჩვილივით, რომელსაც სინათლე არ უნახავს“- (იობ. 3:11, 16). ასევე დავითის ფსალმუნებშიც იკვეთება ჩანასახის, როგორც სრულყოფილი, დამოუკიდებელი პიროვნების არსი

<sup>155</sup> იქვე, 82.

<sup>156</sup> გ. შელია, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა საქართველოში (შედარებითი მიმოხილვა), თბილისი, 2014, 9.

<sup>157</sup> სპერმატოზოიდის მეშვეობით განაყოფიერებული კვერცხუჯრედი.

(„გამომბერწე დედაჩემის საშოში“-138:13, „ჩემი ჩანასახი იხილა შენმა თვალებმა და შენს წიგნში ჩაწერილია დღენი მომავალი ჩასახვისა, როცა ჯერ არ არის არც ერთი მათგანი“-138:16) და ა.შ. ამასთან ბიბლიაში ვხვდებით ჩანაწერს, სადაც ღმერთი ელაპარაკება მოსეს და ეუბნება „მე ვკლავ და მე ვაცოცხლებ, მე ვგმირავ და მე ვკურნავ“-(რჯლ.32:39), რაც მიუთითებს იმაზე, რომ არავის გარდა ღმერთისა არ აქვს უფლება ვინმეს სიცოცხლე ხელყოს.

აბორტი მართლმადიდებელი სარწმუნოების მიხედვით ერთ-ერთ უმძიმესი ცოდვაა. იგი განიხილება როგორც არაადამიანური, მეთოდური ხოცვა-ჟლეტვა, გენოციდი რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ არ უნახავს. ეს არის მშობელთა ომი მათივე შვილების წინააღმდეგ. ომი, სადაც სისხლის ნიაღვრებია, სადაც მკვლელობას - წამება ერწყმის. ამ სასაკლაოზე ყოველწლიურად ათეულობით მილიონი მსხვერპლი იწირება. თანამედროვე ადამიანისთვის ჩვეული თვალთმაქცობით ჩადენილ ამ საქციელს რატომღაც თავისი ნამდვილი სახელი კი არ ჰქვია, როგორცაა უდანაშაულოთა დაუცველთა მკვლელობა საკონცენტრაციო ბანაკებში ჯალათთა სადიზმი; დაკანონებული უფლება მკვლელობასა და დანაშაულზე, არამედ შეფარული და შენიღბულია ბუნდოვანი და უსინდისოდ თვალთმაქცური ტერმინით - აბორტი.<sup>158</sup>

დიდი სჯულისკანონის არაერთ ნორმაში მითითებულია, რომ აბორტის გამკეთებელი დედაკაცი უნდა განკანონდნენ (ე.ი. დაისაჯონ) „კანონითა კაცისმკლველთაითა“. ბარნაბას ეპისტოლეში ვკითხულობთ „ნუ მოკლავ ბავშვს მუცლის მოშლით.“<sup>159</sup> ასევე წმიდა წერილიდან ირკვევა, რომ ბავშვს სული ეძლევა ჩასახვისთანავე. ამის მაგალითად დასახელებულია ის, რომ ბიბლიაში მოხსენებულ მამამთავრებს, წინასწარმეტყველებს და სხვა წმინდანებს სახელი ჩასახვისთანავე ეძლეოდათ, როგორც ცოცხალ არსებებს. ეკლესია ცალკე აღნიშნავს წმ. იოანე ნათლისმცემლის მუცლადღების დღეს (6 ოქტ. ახ. სტილით), წმ. დავით მეფსალმუნე ბრძანებს: „შემიწყნარე მე დედის მუცლით ჩემითგან“. ყოველივე ეს მიუთითებს იმას, რომ ეკლესია ჩასახულ ბავშვს აღიქვამს ჩვეულებრივ ადამიანად, რომელსაც აქვს სული, ბოძებული ღმერთისაგან და არის ცოცხალი არსება. აბორტი კი ესაა არნახული მასშტაბის

<sup>158</sup> იხილეთ « [http://sibrdzne.ge/index.php?kateg\\_id=4&read\\_type=1&gverdi=22](http://sibrdzne.ge/index.php?kateg_id=4&read_type=1&gverdi=22) “. [25.05.19].

<sup>159</sup> ბარნაბას ეპისტოლე, თვი XIX, თარგმ. ვ. ჯუღელი, თბილისი, 2014.

ბრძოლა საკუთარი შვილების, მომავალი თაობის წინააღმდეგ. ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ ქრისტეს წმიდა ეკლესია არასდროს არ შეიწყნარებს ბავშვის მკვლელობას.<sup>160</sup>

მართლმადიდებლური ეკლესიის ცალსახა დამოკიდებულება აბორტის დაუშვებლობის შესახებ იკვეთება ასევე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის საშობაო თუ სააღდგომო ეპისტოლეებში სადაც ის ამბობს, რომ ბედნიერი ვერ იქნება ოჯახი, სადაც აბორტი კეთდება. ტრაგიკულად წარმოაჩინს იმ ფაქტს, რომ “უდიდესი დანაშაული, რომელიც თითქმის ყველა ოჯახში ხდება, არის მუცლადღებულ ყრმათა მკვლელობა - აბორტი. მშობლების გადაწყვეტილებითა და მონდომებით სრულიად უსუსურო, უდანაშაულო არსების საზარელი მკვლელობა, ამ მკვლელობის უშუალო თანამონაწილეა ექიმიც...ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, მილიონამდე აბორტი კეთდება საქართველოში და ამის შემჩერებელი ჯერჯერობით არავინ არის,<sup>161</sup> არანაირი მოტივით არ არის გამართლებული აბორტი, იქნება ეს ეკონომიკური თუ სხვა სოციალური პრობლემის თავიდან აცილება, ამასთან პასუხისმგებლობას აკისრებს არა მხოლოდ დედას ასევე მამას თუკი მისი თანხმობით არის აბორტი გაკეთებული. „ეკლესიის მიერ იმთავითვე აღიარებული ფაქტია და თანამედროვე მედიცინაც მეცნიერულად ამტკიცებს იმას, რომ ადამიანი ჩასახვისთანავე იწყებს დამოუკიდებელ არსებობას და იგი ამ მომენტიდან უკვე პიროვნებაა. აღარაფერს ვამბობთ 7, 10, 12 კვირის ნაყოფზე, რომლის ქმედებანიც ადამიანური ჩვევების აშკარა გამოვლინებებით ხასიათდება. ამიტომაც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს სამი თვის (უფრო მეტის, თუ უფრო ნაკლების) მუცელში მყოფ ყრმას მოკლავს დედა, თუ უკვე გაჩენილ სამი თვის (გინდაც 10, 20, 30 წლის) შვილს.“<sup>162</sup> ერთ-ერთ სააღდგომო ეპისტოლეში ილია II სწორედ აბორტებს უკავშირებს ოჯახების ნგრევას და ჩვილთა შორის გახშირებულ სიკვდილიანობას, რაზეც პასუხისმგებლობას ცალკეულ ოჯახებსა და მთლიანად სახელმწიფოს აკისრებს და მოუწოდებს რომ მათ „ვისაც ეკონომიური პრობლემების გამო შვილის გაჩენა არ სურს, ან სხვა რაიმე მიზეზით მუცლადღებული

<sup>160</sup> იხილეთ „<http://www.orthodoxy.ge/samartali/aborti.htm>“, [24.05.19].

<sup>161</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს 2014 წლის საშობაო ეპისტოლე, „<https://patriarchate.ge/geo/2014-2/>“, [24.05.19].

<sup>162</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს 2001 წლის საშობაო ეპისტოლე, „<https://patriarchate.ge/geo/2001-2/>“, [22.05.19].

ნაყოფი მისთვის მიუღებელია“, არ გაიკეთონ აბორტი, რაგან თუ ისინი ვერ ახერხებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას, ეკლესია უპატრონებს მათ, ასევე მოუწოდებს სახელმწიფოს, რომ მიიღოს სათანადო კანონი აბორტის აკრძალვისათვის, რადგან ქვეყანაში მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა.<sup>163</sup>

„ეკლესია ლოცულობს, რომ ყოველ ოჯახს ჰყავდეს შვილები, მიესალმება სამედიცინო დახმარებას, მაგრამ ვერასოდეს მიესალმება აბორტებს და აბორტების ხარჯზე აშენებულ ”ზედნიერებას“. ეკლესია, ყოველ ადამიანს, განურჩევლად მისი წარმოშობისა ლოცავს და ავედრებს ღმერთს, მაგრამ ეკლესია ვერ იქნება გულგრილი ადამიანთა, თუნდაც ჯერ ისევ ემბრიონობის პერიოდში მოკვდინების გამო.“<sup>164</sup>

წმინდა სინოდის კრება მიიჩნევს, რომ საქართველო დემოგრაფიული თვალსაზრისით მძიმე გამოწვევების წინაშე დგას და ქვეყანას მართებს მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა მდგომარეობის გამოსასწორებლად. კრება სახელმწიფოს მოუწოდებს ისეთი პროგრამების დროულად განხორციელებისკენ, რაც ხელს შეუწყობს მრავალშვილიანობის წახალისებასა და მხარდაჭერას, ასევე აბორტის(მათ შორის შერჩევითი აბორტების), შვილთა კვლის, როგორც უმძიმესი ცოდვის საწინააღმდეგო პროპაგანდას.<sup>165</sup>

ანკვირიის ადგილობრივი კრების 21-ე კანონის მიხედვით დედები, რომლებიც ხელოვნურად ცდილობენ მუცლის მოშლას, არ დაიშვებიან წმინდა საიდუმლოთა ზიარებაზე ათი წლის განმავლობაში.<sup>166</sup> წმ. ბასილი დიდი თავის ერთ-ერთ კანონში (IIკანონი) იგივე საკითხებზე მსჯელობისას არ განასხვავებს ჩამოყალიბებულსა და ჩამოუყალიბებელ ნაყოფს. აბორტს იგი ორმაგ ცოდვად თვლის ჯერ ერთი, ბავშვის მოკვლად და მეორეც, თვითმკვლელობის მცდელობად, რადგან ასეთ დროს ქალები

<sup>163</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს 2013წლის სააღდგომო ეპისტოლე, „<http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomom2013.htm>“, [22.05.19].

<sup>164</sup> ამბიონი, მღვდელი ილია ჭილაძე სუროგაციასა და ხელოვნურ განაყოფიერებაზე, 08.01.2014. „<http://www.ambioni.ge/mrvdeli-ilia-wirlaze-surogaciassa-da-xelovnur-ganayofierebaze>“, [22.05.19].

<sup>165</sup> საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი, 21.06.18, „<http://patriarchate.ge/geo/saqartvelos-samociqulo-avtokefaluri-martlmadidebeli-eklesiis/>“, [23.05.19].

<sup>166</sup> ანკვირიის ადგილობრივი საეკლესიო კრების კანონები, „[http://library.church.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=164%3A2010-03-16-12-16-09&catid=34%3A2009-12-29-11-31-18&Itemid=59&lang=en](http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=164%3A2010-03-16-12-16-09&catid=34%3A2009-12-29-11-31-18&Itemid=59&lang=en)“, [23.05.19].

ხშირად თვითმკვლელობას მიმართავენ. „ასე რომ თუ ქალი თავს მართლმადიდებლური ეკლესიის წევრად თვლის, მისთვის კატეგორიულად აკრძალულია აბორტი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფეხმძიმობის გაგრძელება დედის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. დედამ არ უნდა გასწიროს შვილის სიცოცხლე საკუთარი თავის გადასარჩენად: არავისა აქვს უფლება გადაწყვიტოს, ვისი სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანია-ბავშვის თუ დედის.“<sup>167</sup>

მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი<sup>168</sup> აღნიშნავს, რომ „საკითხი აბორტის დაშვებულობის შესახებ მეტყველებს ადამიანის, საერთოდ კაცობრიობის განსაცვიფრებელ უგრძნობელობაზე ადამიანის სიცოცხლის მიმართ. საზარელია ვიფიქროთ იმაზე, რომ ერთდროულად საუბრობენ ადამიანთა სიცოცხლის სიწმინდეზე და იქვე ნებას რთავენ და აკანონებენ აბორტს. იმ ქვეყანაში, სადაც აბორტი დაკანონებულია, არავის, დაწყებული მთავრობიდან დამთავრებული ჩვეულებრივი მოქალაქით, არა აქვს უფლება თქვას, რომ ადამიანის სიცოცხლე სიწმინდეა, რადგანაც აბორტი მკვლელობაა.“<sup>169</sup> არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) აბორტს, როგორც მკვლელობის აქტს მიჩნევს კონცენტრირებული ეგოიზმისა და ეგოცენტრიზმის პირდაპირ გამოვლინებად.

წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა კონსტანტინე გიორგაძე, ასევე ერთ-ერთ ინტრვიუში ამბობს, რომ მუცლადმყოფი ჩანასახი არის სული, სრულიად სხვა, დამოუკიდებელი პიროვნება, ამიტომ აბორტი, უნდა განვიხილოთ როგორც მკვლელობა, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. იგი ასევე მიუთითებს, რომ მუცლადმყოფი ნაყოფის მოშორება გაცილებით მძიმე ცოდვაა, ვიდრე ხილული სახით კაცის კვლა, რადგან ზრდასრულ ადამიანს თავის დაცვა მაინც შეუძლია. აბორტის დროს კი კლავენ სრულიად უცოდველ და უმწეო არსებას, ასევე არ უნდა გაიმეტონ სასიკვდილოდ მუცლადმყოფი ჩვილი იმის გამო, რომ მას რაიმე დეფექტი დაჰყვება თან, არც ასეთი მიზეზი არ ამართლებს აბორტს, მით უმეტეს, როდესაც ვიცით, რომ ყოველივეს უფალი განაგებს ამიტომ იმაზე უნდა

<sup>167</sup> ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები, გვ-108, „<http://www.gulani.ge/fundamentals.pdf>“, [22.05.19].

<sup>168</sup> რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი, ფილოსოფოსი და მქადაგებელი.

<sup>169</sup> იხილეთ „<http://www.orthodoxy.ge/tserilebi/surojeli/sikvaruli/damateba.htm>“. [24.05.19].

დავფიქრდეთ, იმაზე თუ რატომ დაუშვა ეს. ასევე ქალმა, ოჯახის წევრების წინააღმდეგობის მიუხედავად, მაშინ როდესაც მათი მხრიდან განიცდის ზეწოლას და აიძულებენ გაიკეთოს აბორტი, ბავშვი მაინც უნდა გააჩინოს, რაც დიდი ღვაწლია რომელიც ქრისტეს აღმსარებლობის ტოლფასი ხდება. რაც შეეხება კონტრაცეპტივებს აქაც მამა კონსტანტინე გიორგაძე ცალახა პოზიციას აფიქსირებს და ამბობს, რომ მათი გამოყენებაც უმძიმესი ცოდვაა, რადგან თუკი ადამიანი ხელს უშლის სიცოცხლის ჩასახვას, გამოდის, რომ ეწინააღმდეგება უფლის კურთხევას - აღორძინდით, გამრავლდით და აავსეთ ქვეყანაო, რომელიც ჯერ კიდევ მიწიერ სამოთხეში ყოფნისას მისცა ღმერთმა პირველ ადამიანებს.<sup>170</sup>

საკმაოდ კრიტიკულად აფასებს სელექციურ აბორტებს დეკანოზი ილია ჭილაძე. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, „რომ ქვეყანაში, სადაც ძალან ხშირად ქალებივე იკეთებენ აბორტს იმის გამო, რომ მუცლადმყოფი შვილი მდედრობითი სქესისაა, მათ კი ვაჟი უნდათ, უკვე მიანიშნებს, თუ როგორ დაავადებული, ჩამპალ-გახრწნილი მენტალიტეტი აქვს ამ ერის დიდ ნაწილს ქალიან-კაციანად.“<sup>171</sup>

მამა თეოდორე გიგნაძე აბორტს დედის წიაღში მყოფი უმწეო ბავშვის ბარბაროსულ დაჩეხვად მიიჩნევს იგი აღნიშნავს, რომ „თუ ტრადიცია ღმერთს წყდება, კერპად იქცევა. მაგალითად, თუ არასრულწლოვანი გოგონა შეცდა და დაფეხმძიმდა, ტრადიცია აიძულებს, აბორტი გაიკეთოს. ნებისმიერი ტრადიცია და სიკეთე, რომელიც ღმერთს წყდება, შეიძლება კერპად გადაიქცეს. კერპი კი მსხვერპლს მოითხოვს და ამ შემთხვევაში, მსხვერპლად ახალდაბადებულ ბავშვს სწირავენ. ასე რომ, ტრადიცია ყოველთვის კარგი არაა! დიახაც, ქრისტიანობა ქალისა და მამაკაცის ოჯახის გარეთ სექსუალურ ურთიერთობას ცუდად უყურებს, რადგან ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის, ოჯახი მხოლოდ მამრისა და მდედრის ურთიერთობა კი არა, ღმერთის ჩანაფიქრია“.<sup>172</sup>

---

<sup>170</sup> შ. მერკვილაძე, „ოჯახი, სადაც მშობლები შვილთა კვლის ცოდვით ცხოვრობენ, ღვთის მაძლსა და წყალობას ვერ დაიმსახურებს“, 26.01.07, კარბჭე ამბები.ge, <http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/codva/1689-ojakh-sadac-mshoblebi-shvilti-kvlis-codvith-ckhovroben-ghvthis-madlsa-da-tsyalobas-ver-daimsakhurebs.html>”, [23.05.19].

<sup>171</sup> News.on.ge, ციტატები დეკანოზი ილია ჭილაძე, 23.02.18, <http://go.on.ge/lmm>, [22.05.2019].

<sup>172</sup> ქართული აზრი, „მამა თეოდორე გიგნაძე: ოჯახი მხოლოდ მამრისა და მდედრის ურთიერთობა კი არა, ღმერთის ჩანაფიქრია...“, 30.05.17, <http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=68&id=8490>“, [23.05.19].

საინტერესოა მსოფლიო პატრიარქის ბართლომეს მოსაზრება აბორტსა და დაგეგმილ ორსულობასთან დაკავშირებით, იგი გამრავლებას არ წარმოაჩენს, როგორც ქალისა და კაცის ერთად ყოფნის ამოსავალ წერტილს, „სიყვარული არ არის გამართლებული და განპირობებული მხოლოდ ბავშვების მოვლინებით ამ ქვეყანაზე“. რაც შეეხება აბორტს, ეს ძლიერ მტკივნეული მომენტია ქალისათვის და ღრმა ჭრილობას აყენებს მის ქალურობას. ამიტომ მთელი სერიოზულობითა და კატეგორიულობით აღნიშნავს, რომ აბორტი საკუთარი კომფორტისათვის ყოვლადმიუღებელია და არ არის რეკომენდირებული. მაგრამ არსებობს გამოუვალი მდგომარეობები, როდესაც აბორტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნაკლებ ბოროტებად, ასე მაგალითად, როდესაც მომავალი დედის სიცოცხლე საფრთხეშია. მთელ რიგ შემთხვევებში, ქალები უფრო პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ საკითხს, ვიდრე კაცები, ზოგიერთი კაცები ძალადობენ რა ქალებზე ან უკვე ჩასახულ ნაყოფის პასუხისმგებლობაზე უარს აცხადებენ. ფაქტიურად ისინი უბიძგებენ ახლადდაორსულებულ ქალებს უარი თქვან ბავშვზე – ახალი სიცოცხლის მოვლინებაზე ჩვენს სამყაროში.<sup>173</sup>

საწინააღმდეგო ვერსიას ავითარებს მღვდელი თეოდორე გიგნაძე ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მისი მოსაზრებით ღმერთი ყოველ ახალ ადამიანს, ცოლ-ქმრის მიერ, მათი თანაყოფის გზით ქმნის, ხოლო ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით ცოლ-ქმარი ღმერთს ახალი ადამიანის მოვლინების საშუალებას არ აძლევს. კონტრაცეპტივა ახალი სიცოცხლის, საერთოდ სიცოცხლისა და სიცოცხლის წყაროს - ღვთის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. კონტრაცეპტივა მკვლელობაა სიცოცხლის გაჩენამდე და ერის გენოციდია. ყოველივე აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ეკლესია ვერასოდეს მისცემს კურთხევას კონტრაცეპტივების გამოყენებაზე, მით უმეტეს მათი უმრავლესობა ხშირ შემთხვევაში ჩასახვას კი არ უშლის ხელს, არამედ უკვე განაყოფიერებულ უჯრედს კლავს, ე.ი. ადგილი აქვს აბორტს. ერთადერთი, რაც შეიძლება ეკლესიამ გააკეთოს ისაა, რომ გაითვალისწინოს, გამოიძიოს ყოველი კონკრეტული შემთხვევა და მოუწოდოს მეუღლეებს კონტრაცეპტივების მაგივრად თავი შეიკავონ ურთიერთობისაგან იმ

<sup>173</sup> წმინდა პავლე მოციქულის სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ცენტრი, აბორტი და კონტრაცეფცია – მსოფლიო პატრიარქი ბართლომე, თარგ. შ. კინწურაშვილი, 05.10.17, „<http://www.orthodoxtheology.ge/abortidakontracefcia/>“, [23.05.19].

დღეებში, როცა შეიძლება ჩასახვა მოხდეს, იზრუნოს მათში რწმენის განმტკიცებისათვის და ასწავლოს უფალზე მინდობა.<sup>174</sup>

რაც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას მისი დამოკიდებულება აბორტთან მიართებაში საკამოდ მკაცრია. კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმოს მიხედვით „ადამიანის სიცოცხლე აბსოლუტურად დაცული უნდა იქნას ჩასახვის მომენტიდანვე. მისი არსებობის პირველი წამიდან უნდა იქნეს აღიარებული ადამიანის პიროვნული უფლებები, რომელთა შორის ყოველი უდანაშაულო არსების სიცოცხლის უფლებაც არის.“<sup>175</sup> თომა აკვინელი<sup>176</sup> აღნიშნავდა, რომ აბორტი ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე გაუმართლებელია და რომ ესაა ცოდვა „ბუნების წინააღმდეგ“, რომელიც უარყოფს ღვთის ძღვენს-ახალ სიცოცხლეს.<sup>177</sup>

1968 წელს რომის პაპმა პავლე მეექვსემ გამოსცა დოკუმენტი humane vitae, შობადობის რეგულირების თაობაზე, რომლის მიხედვითაც აკრძალულია ნებისმიერი სახის აბორტი, მათ შორის კონტრაცეპტივების გამოყენება, ქალის ან მამაკაცის დროებითი ან მუდმივი სტერილურობა და ასევე ნებისმიერი ქმედება, ცოლ-ქმარს შორის სქესობრივი აქტის წინ თუ შემდეგ, რომელიც ხელს შეუშლის განაყოფიერებას, თუმცა თუ არსებობს საფუძვლიანი და სერიოზული მიზეზი, ეკლესია ნებას რთავს წყვილს, რომ ორსულობის თავიდან აცილების კალენდარულ მეთოდებს მიმართონ.<sup>178</sup>

1981 წელს რომის პაპმა იოანე პავლე II გამოსცა ენციკლიკა ქრისტიანული ოჯახის შესახებ თანამედროვე სამყაროში (familiaris consortio), რომელშიც ნათქვამია, რომ მიზეზი რის გამოც საზოგადოების ნაწილი იყენებს კონტრაცეპტივებს, ან მიმართავს უფრო უკიდურეს ფორმებს, რითაც უარყოფენ და ზურგს აქცევენ სულიერ სიმდიდრეს

<sup>174</sup> იხილეთ. „<http://www.orthodoxy.ge/pasukhebi/3.htm>“, [22.05.19].

<sup>175</sup> კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმი, თარგმ. ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია საქართველოში, 1997, 472.

<sup>176</sup> კათოლიკური ეკლესიის მერ წმინდანად შერაცხული იტალიელი თეოლოგი, ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი (1225-1274).

<sup>177</sup> UNITED STATES CONFERENCE OF CATHOLIC BISHOPS, Respect for Unborn Human Life: The Church's Constant Teaching, „<http://www.usccb.org/issues-and-action/human-life-and-dignity/abortion/respect-for-unborn-human-life.cfm>“, [24.05.19]

<sup>178</sup> Paul VI, Encyclical Letter Humane Vitae of the Supreme Pontiff to His Venerable Brothers the Patriarchs, Archbishops, Bishops and Other Local Ordinaries in Peace and Communion with the Apostolic See, to the Clergy and Faithful of the Whole Catholic World, and to All Men of Good Will, on the Regulation of Birth, english translation: The Pope Speaks, 1968, „[http://w2.vatican.va/content/paul-vi/en/encyclicals/documents/hf\\_p-vi\\_enc\\_25071968\\_humanae-vitae.html](http://w2.vatican.va/content/paul-vi/en/encyclicals/documents/hf_p-vi_enc_25071968_humanae-vitae.html)“, [07.06.19]

და ახალი სიცოცხლის დაბადებას, არის ღმერთის არ არსებობა ადამიანების გულებში, ღმერთის სიყვარული, რომელიც ერთადერთი და ყველაზე ძლიერია მსოფლიოში. ყოველივე ამის ფონზე, ყალიბდება მენტალიტეტი რომელიც მიმართულია სიცოცხლის წინააღმდეგ, რაზეც ასევე მიგვითითებს არაერთი პრობლემა. ეკლესიას ღრმად სწამს, რომ ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის, ტანჯულის და უბედურის, არის ღმერთის მიერ ნაბოძები, მშვენიერი საჩუქარი. ამ პესიმიზმით და ეგოიზმით სავსე მსოფლიოში, ეკლესია დგას სიცოცხლის მხარეს და ხედავს თითოეული ადამიანის ცხოვრებაში უფლის არსებობას. ეკლესია მოწოდებულია იქადაგოს ყველასთვის, მთელი თავისი შესაძლებლობით და დარწმუნებით, ადამიანის ცხოვრების განვითარებისთვის და სიცოცხლის დაცვისთვის, მისი ნებიმიერი სახით ხელყოფის აღსაკვეთად, ამიტომ ეკლესია განიკითხავს იმ მმართველი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც ხელს უწყობენ წყვილის გადაწყვეტილების თავისუფლებას შთამომავლობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ და აცხადებს ამას როგორც ადამიანური ღირსებისა და სამართლიანობის უმძიმეს დამცირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტრაცეფციისა და ამასთანავე სტერილური აბორტის წახალისება არის ძალადობრივი ქმედება, რომელიც უნდა იქნეს დაგმობილი და უარყოფილი.<sup>179</sup>

მოგვიანებით 1987 წელს რომის კათოლიკურმა სარწმუნოებრივი მოძღვრების კონგრეგაციამ, ასევე გამოსცა ენციკლიკა ადამიანის სიცოცხლის პატივისცემისა და პროკრეციის შესახებ („Donum Vitae“/„სიცოცხლის ძღვენი“), სადაც განხილულია ადამიანის სიცოცხლის წარმოშობის საკითხი და ნათლად არის გაჟღერებული მოსაზრება, რომ ქალის კვერცხუჯრედის განაყოფიერების მომენტიდან იწყება ახალი სიცოცხლე, განაყოფიერების შედეგად წარმოქმნილი ზიგოტა უკვე არის ბიოლოგიურად იდენტობის მქონე არსება, რომელიც უნუკალურია და დამოუკიდებელი მშობლებისაგან.<sup>180</sup> მე-20 საუკუნეში ვატიკანის II საეკლესიო კრებაზე, ასევე დაგმობილ იქნა აბორტი, როგორც შვილის მკვლელობა და საშინელი დანაშაული.<sup>181</sup>

<sup>179</sup> John Paul II, *Familiaris Consortio*, Instruction The Church at the Service of the Family, Copyright - Libreria Editrice Vaticana, Rome, 1981, პარ. 30, “[http://w2.vatican.va/content/john-paul-ii/en/apost\\_exhortations/documents/hf\\_jp-ii\\_exh\\_19811122\\_familiaris-consortio.html](http://w2.vatican.va/content/john-paul-ii/en/apost_exhortations/documents/hf_jp-ii_exh_19811122_familiaris-consortio.html)”, [22.06.19].

<sup>180</sup> *Donum Vitae*, Instruction on Respect for Human Life in Its Origin and on the Dignity of Procreation Replies to Certain Questions of the Day, Rome, 1987.

რომის პაპმა ფრანცისკემ აბორტის პრაქტიკა, რომლის დროსაც ჯანმრთელობის პრობლემის ან ნაკლოვანების მქონე ნაყოფის მოცილება ხდება, ნაცისტურს შეადარა „ბავშვები უნდა მივიღოთ ისე, როგორც მათ ღმერთი გვიგზავნის, იმ შემთხვევაშიც თუ ისინი ავად არიან. ტკივილით უნდა ვთქვა, რომ გასულ საუკუნეში მთელი მსოფლიო შეძრა იმან, რასაც ნაცისტები სუფთა რასის ძიებაში აკეთებდნენ. დღეს ჩვენ იგივეს ვაკეთებთ თეთრი ხელთათმანებით.“<sup>182</sup> თუმცა რაც შეეხება აბორტთან დაკავშირებული ცოდვის შენდობას პაპმა ფრანცისკემ, აბორტის შენდობის უფლება ყველა კათოლიკე მღვდელს გაუგრძელა.<sup>183</sup> ეს უფლება დროებით არსებობდა და შენდობის წმიდა წლის მიღევასთან ერთად უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ის განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდა. აბორტის შენდობის უფლება ადრე მხოლოდ ეპისკოპოსებს ან განსაკუთრებულ აღმსარებლებს ჰქონდათ. თუმცა პაპმა ხაზი გაუსვა, რომ აბორტი სასიკვდილო ცოდვაა, რადგან ის უცოდველ სიცოცხლეს ამთავრებს, მაგრამ არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელსაც ღმერთის შენდობა ვერ მისწვდება და ვერ განაქარვებს, თუ იპოვის მომნანიებელ გულს, რომელსაც მამაზეციერთან შერიგება სურს.<sup>184</sup>

ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი ჯუზეპე პაზოტო აღნიშნავს, რომ „სიცოცხლის ხელშეუხებლობა ჩასახვიდან – ბუნებრივ სიკვდილამდე, ის ფასეულობაა, რომელსაც ეკლესია იცავს. ადამიანსაც მართებს ადამიანის სიცოცხლის დაცვა. არ შეგვიძლია წავუყრუოთ კითხვას, რომელიც ოდითგანვე დაისმის: “მე რა, ჩემი ძმის დარაჯი ვარ?”. კითხვას უნდა შევაგებოთ დამაჯერებელი “ჰო” და არ შეგვრცხვეს ამის! მუცლადმყოფიც ჩემი ძმია!”<sup>185</sup>

---

„[http://www.academyforlife.va/content/dam/pav/documents/papi/documentisantasede/ENGLISH/donum\\_vitae\\_EN\\_G.pdf](http://www.academyforlife.va/content/dam/pav/documents/papi/documentisantasede/ENGLISH/donum_vitae_EN_G.pdf)“ [22.06.19]

<sup>181</sup> ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, ვატიკანის II კრება (1962-1965), მთარგ. ლ. ალექსიძე, თბილისი, 2006, 358

<sup>182</sup> ს. თორაძე, რომის პაპი აბორტს ნაცისტურ პრაქტიკას ადარებს, პირველი არხი, 17.06.18, „<https://1tv.ge/news/romis-papi-aborts-nacistur-praqtikas-adarebs/>“, [23.05.19].

<sup>183</sup> ყველა ეპისკოპოსი თავის ეპარქიაში, თუ ადმინისტრაციაში თავისი უფლებამოსილებით სარგებლობს და შესაბამისად თავად წყვეტს მისცემს, თუ არა მღვდლებს აბორტის შენდობის უფლებას.

<sup>184</sup> ამერიკის ხმა, „რომის პაპმა ფრანცისკემ აბორტის შენდობის უფლება განუსაზღვრელი ვადით გააგრძელა“, 21.11.16, „<https://www.amerikishma.com/a/pope-gives-priests-right-over-abortion-forgiveness/3605580.html>“, [23.05.19].

<sup>185</sup> ტაბულა, „9 კითხვა ქრისტიან სასულიერო პირებს“, 22.08.11, „<http://tbl.ge/dru>“, [23.05.19].

ასევე არებობს მოსაზრება რომლის მიხედვითაც ბევრ რამეს შეცვლიდა ადამიანების აზროვნებაში ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში ღმერთის განკაცების დღესასწაული ხარებიდან, დაწყებულიყო. ქრისტიანული სარწმუნოების არასწორი მიდგომის გამოა, რომ ქალები რომლებიც აბორტს იკეთებენ არ აღიქმებიან საზოგადოების მხრიდან მკვლელებად. პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქრისტეს, როგორც ადამიანური მოდგმის იდეალის დასაწყისს ქრისტიანები ზეიმობენ შობას, სინამდვილეში კი ავიწყდებათ ხარება. ქრისტიანები მივეჩვივნენ იმას, რომ დაბადება, დედის მუცლის დატოვება არის საწყისი იმ ღმერთის, რომელიც განკაცდა. სინამდვილეში ქრისტიანული, თეოლოგიური სწავლების მიხედვით ღმრთი განკაცდა დედის მუცელში, როდესაც ანგელოზმა მას მიიმართა „გიხაროდენ, მარიამ!“; ეს ცენტრალური მომენტი ადამიანად ქცევის, ღმერთის შემოსვლის მომენტი ამ სამყაროში უფრო დაუკავშირდა შობას ვიდრე ხარებას, რის გამოც ქრისტიანთა წარმოდგენებში ადამიანი იწყება იმ ბაგაში და არა იქ მაგალითად, როდესაც მარიამი და ელისაბედი შეხვდებიან ერთმანეთს და ორივე ჩვილი შეკრთება მუცელში. თითქოს საწყისი არის თეთრი ბავშვი, რომელსაც ჩვენ ხატებზე ვუყრებთ და წლების მანძილზე ეკლესია კარნახობდა ამ ყველაფერს. ჩვენ გვაქვს ხატები, სადაც ღმერთს, რომელიც დაიწყო დასაწყისში აქვს თვალები, ყურები... ჩვენ გვგავს, ადამიანებს კი ხშირად აქვთ მიუღებლობა იმათ მიმართ ვინც მათ არ ჰგავთ. ხარების დღესასწაულის მეორეულად ქცევამ, გარკვეულწილად და შობისა და აღდგომის წინ წამოწევამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია წარმოდგენებზე იმის შესახებ არის, თუ არა მუცლად მყოფი ბავშვი ადამიანი.<sup>186</sup>

რელიგიურ ორგანიზაციას, როგორც სამოქალაქო აქტორს, მისი სოციალური კაპიტალიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია სოციალური და პოლიტიკური რეფორმის პროცესში, ეკლესიის, როგორც სამოქალაქო აქტორის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება ისეთ ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო სექტორი ჯერ კიდევ არაორგანიზებული და სუსტია. მისგან განსხვავებით, ეკლესიას საზოგადოებაში ბევრად მაღალი ავტორიტეტი, ორგანიზების უნარი და ავტონომია გააჩნია. სწორედ ეს

<sup>186</sup> იხილეთ. „<https://www.youtube.com/watch?v=s1IX6yENnqQ>“, [05.06.2019].

ახასიათებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.<sup>187</sup> საქართველოში საკმაოდ მაღალია ეკლესიის ავტორიტეტი<sup>188</sup> და მოსახლების მხრიდან ნდობის საკმაოდ მაღალი ხარისხით სარგებლობს. მართლმადიდებლური ეკლესია ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საზოგადოებრივი ინსტიტუტია საქართველოში; მისი განსაკუთრებული ისტორიული როლი ხელისუფლების და საზოგადოების მიერ არის აღიარებული. შესაბამისად ეკლესიას გავლენა აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სპექტრზე, იქნება ეს განათლების სისტემა, სოციალური დაცვა თუ მორალურ-ზნეობრივი ასპექტი,<sup>189</sup> აქედან გამომდინარე მწვენილოვანია, რომ სასულიერო პირების მხრიდან სწორად და სიღრმისეულად იქნეს აღქმული პრობლემის არსი, რომელიც უკავშირდება აბორტებსა და მის გამომწვევ მიზეზებს, რათა სწორი და რაციონალური გზავნილები/მიმართვები გაკეთდეს მრევლის (მთლიანად საზოგადოების) მიმართულებით.

საქართველოს პატრიარქის ეპისტოლეებში, როდესაც საკითხი ეხება აბორტებს ძირითადად აქცენტები კეთდება ქვეყანაში არსებულ მძიმე დემოგრაფიულ პრობლემაზე და სწორედ ამ მოტივით სახელმწიფოს საკანონმდებლო დონეზე აბორტის აკრძალვისაკენ მოუწოდებს, თუმცა აკრძალვა არ არის გამოსავალი და არც ერის გამრავლებაა ის ფუნდამენტური მოტივი, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ქვეყანაში აბორტების რიცხვის შემცირება და ფეტუსის, როგორც სიცოცხლის უფლების მატარებელი სუბიექტის დაცვა. პირიქით აბორტის სრული აკრძალვა მიგვიყვანს ისეთ ნეგატიურ შედეგებამდე, როგორცაა „იატაკქვეშა“ აბორტები, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ფეტუსს, არამედ ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გარდა ამისა მოწოდება კონტრაცეპტივების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ არაა გამოსავალი, მით უმეტეს, მაშინ როდესაც აბორტის ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება მატერიალური სიდუხჭირე და შვილების რჩენის შეუძლებლობა უსახსობის გამო. მაშინ როდესაც საზოგადოება ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას სირცხვილად და ღირსების

<sup>187</sup> ს. მინესაშვილი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები, ჟურნალი, პოლიტიკის დოკუმენტი, N8, 2017,1.

<sup>188</sup> საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებულისაზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად 2017 წელს ეკლესიას მოსახლეობის 88% უცხადებს ნდობას.

<sup>189</sup> ქ. მარგველაშვილი, მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა: პოლიტიკური პროცესები და არჩევნები საქართველოში, რელიგია, საზოგადოება და პოლიტიკა საქართველოში, რედ. ნ. ღამბაშიძე, თბილისი, 2016,4.

შემლახველ ფაქტად აღიქვამს, რის გამოც მეგობრებისა და ოჯახისაგან გარიყული ქალები თავშესაფრის გარეშე რჩებიან. ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი, ნათლად წარმოაჩენს კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომელიც ეხება შვილების მიმართ მომხმარებლურ დამოკიდებულებას, „შვილი გინდა იმიტომ, რომ სიბერეში წყლის მომწოდებელი გყავდეს, რომ დამტირებელი გყავდეს და ა.შ.“ და აღნიშნავს, რომ გამოსავალი რეპროდუქციული განათლების დონის ამაღლებასა და სიცოცხლისადმი ჯანსაღ დამოკიდებულებაზე ზრუნვაშია.<sup>190</sup>

## 5. საკანონმდებლო ხარვეზები

„ფეტუსი დედის სხეულის უუფლებო არსება არ არის, ჩასახვის მომენტიდან, იგი არსებობს, როგორც დაუბადებელი ადამიანი, რომელსაც სული გააჩნია. შესაბამისად, შეუძლებელია კანონმდებელმა კვლავ გააგრძელოს ფეტუსთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი საკითხების ზერელე მოწესრიგება.“<sup>191</sup>

სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით აბორტი განიხილება, არა როგორც ფეტუსის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, არამედ როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტი, რომელიც ზიანს აყენებს, ან საფრთხეს უქმნის ქალის (დედის) სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

დაუბადებელი სიცოცხლის დაცვაზე და სიცოცხლის უფლების სუბიექტად ფეტუსის აღიარებაზე საუბრისას, ისიც უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია დაუბადებელი სიცოცხლის, როგორც აბსოლუტური უფლების აღიარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი აბორტის აკრძალვა გახდებოდა აუცილებელი, რაც წინააღმდეგობაში მოდის დედის სიცოცხლის უფლებასთან.<sup>192</sup>

საქართველოში, სქესის ნიშნით, სელექციური აბორტების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი შეინიშნება, რაც მუცლად მყოფი გოგონების დაბადებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს; ამის ფონზე კი საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს საკანონმდებლო

<sup>190</sup> ტაბულა, „9 კითხვა ქრისტიან სასულიერო პირებს“, 22.08.11, „<http://tbl.ge/dru>„ [23.05.19].

<sup>191</sup> თ. სადრამე, ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებები, ჟურნალი „სპექტრი“, 2017, 91.

<sup>192</sup> თ. ციტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2014, 391.

ბაზა, რომლიც ამ პრობლემის მოგვარების გზებს შემოგვთავაზებს. მხოლოდ ის, რომ ზოგადად აკრძალულია სელექციური აბორტი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე,<sup>193</sup> არაა საკმარისი მექანიზმი ფეტუსის სიცოცხლის დისკრიმინაციული მოსპობის აღმოსაფხვრელად.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ორსულობის ნებაყოფლობით შეწყვეტის ვადა 12 კვირამდეა ნებადართული,<sup>194</sup> რაც საკმაოდ დიდი პერიოდია იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფეტუსის სიცოცხლის ეფექტური დაცვა. აღნიშნული კანონის მიხედვით 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ასევე ნებადართულია სოციალური ჩვენების შემთხვევაშიც.<sup>195</sup> თუმცა თუ ფეტუსს განვიხილავთ ადამიანად/პიროვნებად უნდა აღინიშნოს, რომ არ უნდა დაუშვას სახელმწიფომ სიცოცხლის უფლება მატერიალურ კეთილდღეობას დაუქვემდებაროს იმდენად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მისი დაბადები საკითხი. როდესაც სახელმწიფოდ არსებობაზე გაქვს პრეტენზია იქვე იმასაც უნდა აცნობიერებდე, რომ თითოეული შენი მოქალაქე უნდა უზრუნველყო ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური მატერიალური პირობებით.<sup>196</sup>

## დასკვნა

ფეტუსის სიცოცხლის უფლების დოგმატურ და სოციალურ სამართლებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება და მის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები არასრულფასოვნადაა მოწესრიგებული საერთაშორისო, თუ ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების განხილვისას გამოიკვეთა მკაფიო და ცალსახა პოზიციის არ არსებობა ფეტუსის სიცოცხლის უფლების აღიარებასთან დაკავშირებით. მისი სიცოცხლის უფლების ეფექტურად დასაცავად საჭიროა ფეტუსი განისაზღვროს სიცოცხლის საწყისად. თუმცა აღსანიშნავია, რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლების

<sup>193</sup> “ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე”, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-74/ნ ბრძანება, დანართი N1, მე-14 პუნქტი.

<sup>194</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 139-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>195</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 140-ე მუხლის მეორე პუნქტი.

<sup>196</sup> ვ. კუბლაშვილი, ძირითდი უფლებები, რედ. თ. ბერიძე, თბილისი, 2014, 87-88.

აბსოლუტური აღიარება წინააღმდეგობაში მოდის დედის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებასთან, ამიტომ აბორტის აკრძალვა არაა გამოსავალი პრობლემიდან, იგი არ ამცირებს ქვეყანაში აბორტების რაოდენობას, ამიტომ საჭიროა განისაზღვროს ფეტუსის როგორც ადამიანის სტატუსი და ამის შესაბამისად იქნეს მიღებული აბორტისა და სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი ნორმები.

საქართველოში ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის ეფექტურად უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს ცვლილებები იმგვარად, რომ ქმედება, რომელიც მიმართულია ნაყოფის გასანადგურებლად, შეტანილ იქნეს ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში, რომლისაგანაც სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტი იქნება ფეტუსის სიცოცხლე და განვითარება. ფეტუსი კანონმდებელმა უნდა აღიაროს პიროვნებად/ადამიანად, რომლის სიცოცხლის უფლება მიეკუთვნება იმ სამართლებრივი სიკეთეების კატეგორიას, რომელიც სისხლისსამართლებრივ დაცვას საჭიროებს. ამასთან უნდა განისაზღვროს დედის პასუხისმგებლობის საკითხიც.

საქართველოში სელექციური აბორტები საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება ხელყოფილ არ იქნეს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე, საჭიროა საკანონმდებლო დონეზე აიკრძალოს ულტრასონოგრაფიის მეშვეობით ბავშვის სქესის გამხელა. სელექციური აბორტების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლის ფონზე, მნიშვნელოვანია ეკლესიის აქტიური ჩართულობაც საზოგადოების ინფორმირებულობასა და ამ მენტალურ-კულტურული პრობლემის არსის წარმოჩენაში, ასევე სასულიერო პირების მხრიდან აქცენტი უნდა გაკეთდეს ქალების მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებზე, იმ წნეხზე რომელსაც განიცდიან საზოგადოებისა, თუ ოჯახის წევრების მხრიდან (გარკვეული ასაკის მიღწევისთანავე ოჯახის შექმნა, ოჯახის შექმნის თანავე ბავშვის გაჩენის აუცილებლობა, ვაჟის გაჩენის პრეროგატივა და აუცილებლობა, ე.წ უკანონო ბავშვის გაჩენის სტიგმა) რაც ხშირად იქცევა ხოლმე აბორტის გამომწვევ ფაქტორად. ასევე მნიშვნელოვანია ქალებთან ერთად წარმოჩინდეს მამაკაცების როლი და პასუხისმგებლობა აბორტთან დაკავშირებით, რადგან ხშირ შემთხვევაში მათი ინიციატივით, ან ძალდატანებით იკეთებენ ქალები აბორტს.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გააძლიეროს ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას სელექციური აბორტის პრაქტიკასთან ბრძოლით, მათ შორის, ამ ფენომენის მასშტაბების მონიტორინგის გზით, ძირეული მიზეზების გამოკვლევით, ოჯახის დაგეგმვის სერვისების გაფართოებითა და გაუმჯობესებით, სელექციური აბორტის საზიანო შედეგებისა და გოგონებისა და ბიჭების თანაბარი ღირებულების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების აქტივობების გატარებით.<sup>197</sup>

სოციალური ჩვენებით აბორტები შემცირებისა, თუ თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ისეთი სოციალური პროგრამა, რომლითაც ყოველი დაბადებული ბავშვისათვისათვის განისაზღვრება თანხის ის მინიმალური ოდენობა, რომლიც უზრუნველყოფს ბავშვის ღირსეულად ცხოვრებას მის სრულწლოვანებამდე. ამასთან სახელმწიფომ გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და შექმნას სპეციალური სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ხელმოკლე ორსულთა აღრიცხვას, მათი დახმარების პროგრამაში ჩართვას, ჩვილი ბავშვის შვილად აყვანის მსურველი მოქალაქის მოძიებას, ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში დედაზე ზრუნვას, ორსულობის ფინანსური უზრუნველყოფას, მშობიარობის შემდგომი პერიოდის დაფინანსებასა და საჭიროების შემთხვევაში, გაჩენილი ბავშვის წინასწარ შერჩეულ პირზე გაშვილებას.<sup>198</sup>

თუკი ფეტუსის სიცოცხლის უფლება აღიარებული და გათვალისწინებული იქნება, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ორსულობის ნებაყოფლობით შეწყვეტის 12 კვირიანი ვადა<sup>199</sup> უნდა შემცირდეს 8 კვირამდე, თუმცა არა იმ მიზეზით, რომ 8 კვირის ფეტუსის დედის ხსეულიდან გამოდევნა უფრო მარტივია. მთავარი კრიტერიუმი უნდა გახდეს ის, რომ ორსულობის მე-8 კვირის შემდეგ ემბრიონი, რომელსაც ზოგჯერ „უჯრედების გროვად“ მოიხსენიებენ იწოდება უკვე ფეტუსად, რომელსაც ადამიანისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა

<sup>197</sup> ლ. მანი, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, ნაწილი II, თბილისი, 2018, 68.

<sup>198</sup> თ. სარდაძე, ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებები, ჟურნალი „სპექტრი“, 2017, 95.

<sup>199</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 139-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

ორგანო და ფუნქცია განვითარებული აქვს.<sup>200</sup> „ორსულობის ამ ვადაზე ემბრიონის ნერვული სისტემის იმ სტრუქტურების შენება იწყება, რომელთა საშუალებითაც იგი ე.წ. უმაღლესი ნერვული მოქმედებების შესრულებას შეძლებს. სწორედ ეს უმაღლესი ნერვული მოქმედებები გამოარჩევს ადამიანს ცხოველთა სამყაროსგან.“<sup>201</sup>

აბორტის რაოდენობის შემცირებაზე ზრუნვა, უპირველეს ყოვლისა, სექსუალური განათლების სისტემის დანერგვით უნდა დაიწყოს. თავდაცვის საშუალების სწორი და დროული გამოყენება საშუალებას მისცემს ახალგაზრდა გოგოებს თავი დაიცვან არასასურველი ორსულობისგან.<sup>202</sup> „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათანადო და დროული ინფორმაციის მიწოდება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებმა მოუწოდეს სახელმწიფოებს გააუმჯობესონ ხელმისაწვდომობა, მოზარდებს შორის აბორტის შემთხვევების გაზრდის საპასუხოდ.“<sup>203</sup>

---

<sup>200</sup> თ. სადრაძე, უკანონო აბორტის საკანონმდებლო პოზიციები, გურამ ნაჭყებია-75, რედ. ნ. თოდუა, თბილისი 2016, 177.

<sup>201</sup> იხილეთ. „<http://orsuli.ge/final/index.php?act=week&id=8>“, [05.06.2019].

<sup>202</sup> ა.დამენია, „აბორტის მოტივი – მშობლის გულგრილობა თუ სოციუმის შიში“, training center for liberalism, 13.04.15, „<https://libcentri.wordpress.com/2015/04/13/abortion/>“, [2019/17/05].

<sup>203</sup> კ. ასლანიშვილი, მ. ჯიბუტი, ა. იმედაშვილი, გ. ჯავაშვილი, ნ. კიკნაძე, ზ. მეიშვილი, ნ. მირზიკაშვილი, ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რედ. მ. დეკანოიძე, გვ. 32.

## გამოყენებული ლიტერატურა

### სამეცნიერო ლიტერატურა:

გაეროს მოსახლეობის ფონდის (unepa) საქართველოს ოფისი, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და ექიმების როლი ამ პრაქტიკის პრევენციაში.

გულნარა შელია, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა საქართველოში (შედარებითი მიმოხილვა), თბილისი, 2014.

ევა გოცირიძე, სიცოცხლის დასასრული და დასაწყისი: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (სტატიათა კრებული), რედ. კ.კორკელია, თბილისი, 2007.

ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით, თარგმანი: თ. მამუკელაშვილი, რ. ტუშური, თბილისი, 2004.

ევა დარბაიძე, სელექციური აბორტი, როგორც გენდერული საქართველოში, სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა (სამეცნიერო შრომების კრებული), რედ-ები: რ. გაჩეჩილაძე, თ. დოღბაია, კ. კაკაჩია, რ. ჯორბენაძე, მ. შამილიშვილი, თბილისი, 2018.

ვასილ გონაშვილი, ნინო ხიზანიშვილი, ჩანასახის სიცოცხლის უფლება მსოფლიო ქვეყნებსა და საქართველოში, ჟურნალი „თსუ მეცნიერება“.

თამარ სადრაძე, უკანონო აბორტის საკანონმდებლო პოზიციები, გურამ ნაჭყებია-75, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016.

თამარ სადრაძე, ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებები, ჟურნალი „სპექტრი“, 2017.

*თეიმურაზ ტულუში*, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013.

*ირმა გელაშვილი*, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, რედ. თ. ნინიძე, თბილისი, 2012.

*კახაბერ ასლანიშვილი, მამუკა ჯიბუტი, ალექსანდრე იმედაშვილი, გივი ჯავაშვილი, ნინო კიკნაძე, ზაზა მეიშვილი, ნინო მირზიკაშვილი*, ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რედ. მ. დეკანოიძე.

*კონსტანტინე კუბლაშვილი*, ძირითადი უფლებები, რედ. თ. ბერიძე, თბილისი, 2014.

*კრისტოფ გილმოტო*, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში, თბილისი, 2015.

*ლაშა ჭელიძე*, სიცოცხლის უფლება ფეტუსისათვის, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2002.

*ლევან იზორია*, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2005.

*ლორი მანი*, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, ნაწილი II, თბილისი, 2018.

*ლ. შენგელია ლ. სტურუა*, ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში, თბილისი, 2017.

*მაია თოლორდავა*, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, სარედაქციო კოლეგია: მთავარი რედ. მ. ჯიქია, სარედაქციო კოლეგიის წევრები: თ. ნადირაშვილი, ე. თხილავა, ა. წივწივაძე, ჟურნალი, სამართლის აქტუალური საკითხები N2, თბილისი, 2018.

*მაკა გეგეჭკორი, იაგო კაჭკაჭიშვილი, გაგა ნიჟარაძე*, ნარკომანია, აივ/შიდსი, უსაფრთხო სექსი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა სტუდენტურ ფოკუსში, თბილისი 2010.

*მარიამ ამაშუკელი, ლენე ჯაფარიძე, ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოს კონტექსტში, თბილისი, 2018.*

*მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, რედ. გ. მამულაშვილი, თბილისი, 2014.*

*ნატო ცომაია, სიცოცხლის უფლებისა და ადამიანის სხვა ძირითად უფლებათა კოლიზია, მართლმსაჯულება N2, 2007.*

*რეპროდუქციული უფლებები და მათი რეალიზაციის გარანტიები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 2015.*

*სალომე მინესაშვილი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები, პოლიტიკის დოკუმენტი N8, 2017.*

*სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ლ. ჭანტურია, თბილისი, 2017.*

*საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, რედაქტორები: პ. ტურავა, ც. ჯიშკარიანი-თევდორაძე, ვ. ჟვანია, თბილისი, 2013.*

*ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, ვატიკანის II კრება (1962-1965), მთარგ. ლ. ალექსიძე, თბილისი, 2006.*

*ქრისტინე მარგველაშვილი, მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა: პოლიტიკური პროცესები და არჩევნები საქართველოში, რელიგია, საზოგადოება და პოლიტიკა საქართველოში, რედ. ნ. ღამბაშიძე, თბილისი, 2016.*

*ქრისტოფ გილმოტო, სარა ტარუფო, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში, რედ. თ. მაისურაძე, თბილისი, 2017.*

*შოთა გეჩაძე, ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის უფლება და დისკრიმინაციული აბორტი, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. ვ. კორკელია, თბილისი, 2015.*

ჯიმ მერდოქსი, დონა იონა სტრაისტეანუ, დინა ვედერნიკოვა, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-2 მუხლი), რედაქტორები: ჯ. მერდოქსი, დ.ი. სტრაისტეანუ, დ. ვედერნიკოვა, ბ. ფერნანდესი, ტ. კარპენტერი, თბილისი, 2009.

## სხვადასხვა

ამბიონი, მღვდელი ილია ჭილაძე სუროგაციასა და ხელოვნურ განაყოფიერებაზე, 08.01.2014.

ამერიკის ხმა, „რომის პაპმა ფრანცისკემ აბორტის შენდობის უფლება განუსაზღვრელი ვადით გააგრძელა“, 21.11.16.

ანა დამენია, „აბორტის მოტივი – მშობლის გულგრილობა თუ სოციუმის შიში“ , training center for liberalism, 13.04.15.

ანასტასია არაბული, „ოსკარი“ მარტოხელა დედებს, matstsavleblebi.ge, 04.03.14.

ანკვირიის ადგილობრივი საეკლესიო კრების კანონები.

ბარნაბას ეპისტოლე, თვი XIX, თარგმ. ვ. ჯუღელი, თბილისი, 2014.

ზაალ ანჯაფარიძე, საზოგადოების აზრი საზოგადოების წინააღმდეგ?!, ჯი-ეიჩ-ენი, 12.05.12.

თამარ კორკოტაშვილი, ხალხის დამოკიდებულება ქართველი ქალის მიმართ, რომელიც შვილს ქმრის გარეშე აჩენს, ამბები.GE, 09.09.15.

კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო, თარგმ. ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია საქართველოში, 1997.

მანანა ნოზაძე, საფრანგეთში აბორტისთვის ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ, for. ge, 08.05.13.

ნინო ჭელიძე, აბორტის პრობლემა არასრულწლოვნებში, გურია NEWS, 28.02.15.

*პიუს შტოსელი, მარიამ... რატომ ტირი?, მთარგ. ე. ჯულუხაძე, რედ. ნ. ტურაბელიძე, ქუთაისი.*

*სალომე თორაძე, რომის პაპი აბორტს ნაცისტურ პრაქტიკას ადარებს, პირველი არხი, 17.06.18.*

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი, 2018 წელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს 2013 წლის საადდგომო ეპისტოლე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს 2001 წლის საშობაო ეპისტოლე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს 2014 წლის საშობაო ეპისტოლე.

ტაბულა, „9 კითხვა ქრისტიან სასულიერო პირებს“, 22.08.11.

*ფიქრია წიკლაური, მუცლად მყოფი ბავშვის სტატუსის მინიჭება – ხალხის რეაქცია, 23.02.19.*

ქართული აზრი, მამა თეოდორე გიგნაძე- ოჯახი მხოლოდ მამრისა და მდედრის ურთიერთობა კი არა, ღმერთის ჩანაფიქრია..., 30.05.17.

ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები.

*შორენა მერკვილაძე, „ოჯახი, სადაც მშობლები შვილთა კვლის ცოდვით ცხოვრობენ, ღვთის მადლსა და წყალობას ვერ დაიმსახურებს“, კარიბჭე ამბები.ge, 26.01.07.*

წმინდა პავლე მოციქულის სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ცენტრი, აბორტი და კონტრაცეფცია – მსოფლიო პატრიარქი ბართლომე, თარგმანი შ. კინწურაშვილი, 05.10.17.

News.on.ge, ციტატები დეკანოზი ილია ჭილაძე, 23.02.18.

## უცხოენოვანი წყაროები:

A. Pawlowski, 'Miracle baby': Born at 21 weeks, she may be the most premature surviving infant, TODAY , 09.11.17.

*Donum Vitae*, Instruction on Respect for Human Life in Its Origin and on the Dignity of Procreation Replies to Certain Questions of the Day, 1987.

*Jacqueline Howard*, Born before 22 weeks, 'most premature' baby is now thriving, CNN, 11.11.17.

*John Paul II*, Familiaris Consortio, Instruction The Church at the Service of the Family, Rome, 1981.

*Paul VI*, Encyclica Letter Humane Vitae of the Supreme Pontiff to His Venerable Brothers the Patriarchs, Archbishops, Bishops and Other Local Ordinaries in Peace and Communion with the Apostolic See, to the Clergy and Faithful of the Whole Catholic World, and to All Men of Good Will, on the Regulation of Birth, english translation: The Pope Speaks, 1968.

*United States conference of Catholic Bishops*, Respect for Unborn Human Life: The Church's Constant Teaching.

## ელექტრონული წყაროები:

[http://sibrdzne.ge/index.php?kateg\\_id=4&read\\_type=1&gverdi=22](http://sibrdzne.ge/index.php?kateg_id=4&read_type=1&gverdi=22).

<http://www.orthodoxy.ge/samartali/aborti.htm>.

<http://www.orthodoxy.ge/tserilebi/surojeli/sikvaruli/damateba.htm>.

<http://www.orthodoxy.ge/pasukhebi/3.htm>.

<https://www.youtube.com/watch?v=s1IX6yENnqQ>.

<http://orsuli.ge/final/index.php?act=week&id=8>.

## საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები:

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

ბავშვის უფლებათა კონვენცია.

კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

## **ეროვნული სამართლებრივი აქტები:**

საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-74/ნ ბრძანება „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს**

## **გადაწყვეტილებები:**

*A, B and C v. Ireland*, App. no. 25579/05, 16 December 2010.

*Marckx v. Belgium*, App. no. 6833/74, 13 June 1979.

*Tysiąc v Poland*, App. no. 5410/03, 20 March 2007.

*Vo. v. France*, App. no. 53924/00, 8 July 2004.

აბორტები							
	რეგისტრირებული აბორტები, სულ, ათასი	მათ შორის მინი- აბორტი, ათასი	აბორტების რიცხვი ქალების ასაკის მიხედვით, ერთეული	15 წლამდე	15-19	20-44	45 და მეტი წლის
2002	13,9	5,1		9	789	13057	53
2003	13,8	5,2		2	897	12856	79
2004	17,2	6,6		6	1494	15648	62
2005	19,7	6,7		5	1057	18512	107
2006	21,2	7,5		2	1380	19716	106
2007	20,6	7,6		8	1037	19483	116
2008	22,1	7,7		6	1359	20481	216
2009	24,3	8,4		21	1689	22419	182
2010	25,6	10,6		14	1770	23664	137

2011	30,6	12,9		15	1681	28760	134
2012	39,2	15,9		19	1955	37070	181
2013	37,0	15,3		34	1833	34881	270
2014	33,5	13,1		20	1387	31850	212
2015	33,4	9,2		9	1335	31870	163
2016	29,6	8,9		19	932	28564	126
2017	24,9	6,7		1	596	24145	195

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით და სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას

	ორივე სქესი	ბიჭი	გოგო	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას
1994	57 311	29 964	27 347	109,6
1995	56 486	29 822	26 664	111,8
1996	55 153	29 016	26 137	111,0
1997	54 136	28 481	25 655	111,0
1998	51 491	27 090	24 401	111,0
1999	48 408	25 467	22 941	111,0
2000	48 167	25 341	22 826	111,0
2001	46 620	24 527	22 093	111,0
2002	45 127	23 990	21 137	113,5
2003	45 450	24 233	21 217	114,2
2004	45 751	24 461	21 290	114,9
2005	46 063	24 438	21 625	113,0
2006	46 845	24 789	22 056	112,4
2007	48 499	25 659	22 840	112,3
2008	52 442	27 698	24 744	111,9
2009	56 568	29 660	26 908	110,2
2010	55 230	28 787	26 443	108,9
2011	51 565	26 942	24 623	109,4
2012	49 969	26 138	23 831	109,7
2013	49 657	25 747	23 910	107,7

2014	60 635	31 325	29 310	106,9
2015	59 249	30 902	28 347	109,0
2016	56 569	28 887	27 682	104,4
2017	53 293	27 658	25 635	107,9
2018	51 138	26 538	24 600	107,9

**შენიშვნა:** 1995-2013 წლებში წარმოადგენს შეფასებით მონაცემებს; 2014 წლიდან ეყრდნობა რეგისტრირებულ მონაცემებს.

**წყარო :** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.